პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

4 ივლისი ოთხშაბათი 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 155 (15672)

ვარტიისა და ქვეყნის წინაშე მდგომი დიდი და რთული ამოცანები დაბეჯითებით მოითხოვენ, რომ ხელმძღვანელი კადრები სრულყოფილად ფლობდნენ მართვის თანამედროვე მეთოდებს, ჰქონდეთ ახლის გრძნობა, ხედავდნენ განვითარების პერსპექტივას, შეეძლოთ გამონახონ წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის ყველაზე ეფექტიანი გზები, გამოიყენონ სხვათა ცოდნა და გამოცდილება.

საქპ XXIV ყრილობის რეზოლუციიდან.

დღეს, 10 საათზე ჰადრაკის სასახლეში (ლენინის ქუჩა, 37, კროვის სახელობის პარკი) გაიხსნება ამიერკავკასიის რესპუბლიკების იდეოლოგიურ მუშაკთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „ხელმძღვანელი კადრების მარქსისტულ-ლენინური და ეკონომიური სწავლების, ზნეობრივი და ინტერნაციონალური აღზრდის საკითხები“.

დიდი შრომითი წარმატება

ყარაგანდის მეტალურგიული კომბინატის ფურცლის ცივი გლინვის საამქროს მუშაკებს, მემონტაჟეებს, მეტალურგებს, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, მუშაკებლობის ყველა მონაწილეს

სკპკ ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ გილოცავთ დიდ შრომითს წარმატებას — ყარაგანდის მეტალურგიული კომბინატის ფურცლის ცივი გლინვის საამქროს პირველი რიგის მშენებლობის დამთავრებას.

საგლინავი წარმოების ამ დიდი მაღალმექანიზებული კომპლექსის — მეცხრე ხუთწლედის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ობიექტის — ამოქმედება სერიოზული წვლილია შავი მეტალურგიის შემდგომი განვითარების საქმეში, საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გაზარდოს ქვეყანაში ცივად გლინული ფურცლოვანი ნაგლინის გამოშვება.

თქვენი მიღწევები შესაძლებელი გახდა მშენებლთა და მემონტაჟეთა მრავალთასიანი კოლექტივის, მშენებლობის ყველა მონაწილის თავდადებული შრომის, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების მოწინავე მეთოდების გამოყენების, ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის მეოხებით. ეს წარმატებანი მოწმობენ შრომითი კოლექტივების მაღალ პასუხისმგებლობას პარტიის XXIV ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის დეკემბრის პლენუმის „გადაწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელებისათვის.

მშენებლობის მანძილზე შესრულდა სამუშაოთა უდიდესი მოცულობანი, კერძოდ, ჩასხმულია 415 ათასი კუბური მეტრი ბეტონი, დამონტაჟებულია 20 ათასი კუბური მეტრი ასაწყობი რკინაბეტონისა და 40 ათას ტონამდე ლითონის კონსტრუქციები, 20 ათას ტონაზე მეტი რთული ტექნოლოგიური მოწყობილობა.

ფურცლის ცივი გლინვის საამქროს მშენებლობას დიდი შემოქმედებითი შრომა მოახმარეს ბევრი საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციის კოლექტივებმა, მანქანათმშენებლებმა, მეტალურგებმა, ენერგეტიკოსებმა, ტრანსპორტის მუშაკებმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს რწმენას, რომ მშენებლები და მემონტაჟეები ძალ-ღონეს, ცოდნასა და უნარს არ დაიშურებენ, რათა ვადამდე დაამთავრონ საამქროს მთელი კომპლექსის მშენებლობა, სოლო შეტალურგები მოკლე ვადებში აითვისებენ ამ საამქროს საპროექტო მაჩვენებლებს.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ახალ შრომით წარმატებებს.

ლ. ბრეჟნევი,
საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო შ. ღ. შარმა

3 ივლისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის „გენერალურმა მდივანმა ლ. ი. **ბრეჟნევმა** კრემლში მიიღო ინდოეთის ეროვნული კონგრესის პარტიის თავმჯდომარე დოქტორი **შანკარ დაიალ შარმა**, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოსულია სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის მოწვევით.

საუბრის დროს გაიმართა აზრთა ურთიერთგაზიარება ორივე მხარისათვის საინტერესო აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებსა და საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების საკითხებზე.

საუბარმა ჩაიარა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში, რომელიც ასახავდა საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ურთიერთობის მეგობრულ ხასიათს.

საბჭოთა კავშირ-ავსტრიის მოლაპარაკება

ვენა. 3 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ აქ ფედერალური კანცლერის ოფიციალურ რეზიდენციაში დაიწყო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინისა და ავსტრიის ფედერალური კანცლერის ბ. კრაისკის მოლაპარაკება.

მოლაპარაკების დროს, რომელიც გულახდილობისა და მეგობრობის ვითარებაში მიმდინარეობდა, განხილულს საკითხები, რომლებიც ეხება საბჭოთა კავშირისა და ავსტრიის ურთიერთობის განვითარებასა და განმტკიცებას.

მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები აგრეთვე თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის ზოგიერთ ურთიერთსაინტერესო პრობლემაზე.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ თურქმენეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ო. ნ. ორაზმუხამედოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემენოვი, საგარეო ვაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილე მ. რ. კუზმინი, სსრ კავშირის ელჩი ავსტრიაში ა. ბ. არისტოვი და სხვა ოფიციალური პირები.

ავსტრიის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ ფინანსთა მინისტრი ჰ. ანდლიში, ვაჭრობის, ხელოსნობისა და მრეწველობის მინისტრი ი. შტარიბახერი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის შემსრულებელი ვ. ვოდიკი, ავსტრიის თავისუფლების პარტიის თავმჯდომარე შ. პეტერი, სხვა პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეები.

საბჭოთა სტუმრის პატივსაცემად

ვენა. 3 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). ავსტრიის ფედერალურმა კანცლერმა ბ. კრაისკიმ გუშინ საღამოს ჰოფბურგის სასახლეში სადილი გამართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის პატივსაცემად, რომელიც აქ ოფიციალური ვიზიტით იმყოფება.

საბჭოთა მოაგრობის მეთაურთან ერთად სადილზე იყვნენ მისი თანმხლები ოფიციალური პირები.

ავსტრიის მხრივ იყვნენ: ვიცე-კანცლერი რ. კოფზერი და კაბინეტის სხვა წევრები, პოლიტიკური პარტიების ლიდერები, საქმიანი წრეების წარმომადგენლები, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწენი.

ბ. კრაისკიმ და ა. ნ. კოსიგინმა სიტყვები წარმოთქვეს, რომლებსაც დამსწრენი ტაშით შეხვდნენ.

სსრკ კარტიისა და მთავროგის დელეგაცია გაემგზავრა სირიაში

3 ივლისს სირიის არაბთა რესპუბლიკის მთავრობისა და არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ხელმძღვანელობის მიწვევით მოსკოვიდან სირიის არაბთა რესპუბლიკაში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ.ვ. ბირილენკო.

დელეგაციაში შედიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მინისტრი პ. ს. ნეპოროჟნი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ფ. მორდინოვი, სსრ კავშირის ელჩი სირიის არაბთა რესპუბლიკაში ნ. ა. მუხიტდინოვი. დელეგაციის ახლავან სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები ი. ჯ. პომელოვი, ზ. ბ. რუმიანცევი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი მ. დ. სიტენკო.

სირიაში ყოფნის დროს საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს მდინარე ევფრატის გადახიდვასთან დაკავშირებულ ზეიმში ევფრატის ჰიდროენერგეტიკული კომპლექსის მშენებლობაზე, რომელიც იგება საბჭოთა კავშირის ეკონომიური და ტექნიკური დახმარებით.

ნუკოეთის აეროდრომზე პარტიისა და მთავრობის დელეგაცია გააცილეს ამხანაგებმა ფ. დ. კულაკოვმა, ჯ. ტ. გაზუროვმა, ბ. ნ. პონომარიოვმა და სხვებმა. (საკდესი).

მესამე, გაღამნყვეტი

ხუთწლედის ვაგზე

მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოების ცნობების მიხედვით

მოსკოვი. რუსეთის ფედერაციის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებიც ჩაბმული �იან შეჯიბრებაში მეცხრე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, ვადაზე ადრე შეასრულეს ინდუსტრიული რეალიზაციის საერთო მოცულობისა და ეკონომიკური ეფექტიანობის ნაწარმის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა.

მინსკი. ბელორუსიის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ XXIV ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ვადამდე შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციისა და მეტწილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების წლის პირველი ნახევრის გეგმა.

ტაშკენტი. უზბეკეთის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა ვადამდე შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციისა და უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა.

ალმა-ათა. ყაზახეთის მრეწველობის საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებმა, რომლებიც ჩაბმული არიან შეჯიბრებაში მეცხრე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, ვადაზე ადრე შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და მეტწილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო ნაწარმის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა.

ფრუნზე. პროდუქციის რეალიზაციისა და მეტწილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა ვადამდე შეასრულა ყირგიზეთის მრეწველობამ.

დუშანბე. ტაჯიკეთის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის მესამე წლის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის, ვადამდე შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის ნახევარი წლის გეგმა.

კიევი. უკრაინის სსრ სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის და ვადამდე შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის საერთო მოცულობისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა.

ვილნიუსი. ლიტვის სსრ სამრეწველო საწარმოების კოლექტივებმა გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება 1973 წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის და ვადამდე გაანალიზეს სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციისა და მეტწილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა.

რიგა. ლატვიის სსრ მრეწველობის მუშაკებმა გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის და ვადამდე შეასრულეს მეტწილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და გამოშვების ნახევარი წლის დავალება.

აშხაბადი. თურქმენეთის სსრ მრეწველობის მუშაკებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება 1973 წლის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის და ვადამდე შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის ნახევარი წლის გეგმა.

(საკდესი).

შეჯიბრება გაჩაღდა

მოსკოვი. კარგად შრომობენ ხუთწლედის მესამე წელს სამონტაჟო ტრესტის „მოსკოვმშენ-27“-ის მშენებლები. ობიექტებზე ფართოდ გაჩაღდა შეჯიბრება.

ხურათზე: ბევრი სიცოცხლეა ახალი ოუგეთი ამ ხურათზე ასახულ მშენებლებს — ბრიგადირებს ალექსი ფომიჩევს და ევგენი პუპაჩს (წინა პლანზე). მათს ხუთბარს უურადღებით უსმენენ ტრესტის ახალგაზრდა მშენებლები ანა ბერინოვა და ევგენი პუსტაკინი.

ვ. კუზმინისა და ვ. ბუდანის ფოტო (საკდესის ფოტოქრონიკა).

ბოლოდროინდელი ამბავი

ქ. ოსკოვში ხეტუნსკის მეორე გახასვლელში შენდება ექსპერიმენტული 25-სართულიანი საცხოვრებელი სახლი. ასეთი უჩვეულო კონსტრუქციის ნაგებობის მშენებლობა პირველად ხდება ჩვენს საბჭოთა მშენებლო პრაქტიკაში. მშენებლებმა რკინაბეტონისაგან ჯერ „სახლის გული“ ააგეს, მერე კი მის ირგვლივ სართულებად დაიწყეს კონსტრუქციების მონტაჟი.

საქვეგი— ზამთრისათვის

ყოველდღიურ ა.დ ძლიერდება საკვების დამზადების ტემპი ქვეყნის მეურნეობებში. ბევრ კოლეგურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ტექნიკა გათენებიდან დაღამებამდე მუშაობს. მემანდვრეები და ფერმების მუშაკები საქმით უპასუხებენ პარტიისა და მთავრობის დადგენილებას და განუწყვეტლივ ეძებენ რეზერვებს მეცხოველეობის საკვები ბაზის შემდგომი განმტკიცებისათვის.

როგორც სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო იუწყება, 25 ივნისისათვის თივისა და სენაჟის დასამზადებლად ბალახი მოთიბულია 14.063 ათას ჰექტარზე. ეს მაჩვენებელი თითქმის 1,5 მილიონი ჰექტარით მეტია, ვიდრე გასული წლის ამავე თარიღისათვის იყო. წარმატებით ასრულებენ ბალახების თიბვის გეგმას უზბეკეთის, თურქმენეთის, ლიტვის მეურნეობები.

(საკდესის კორ.).

მკის გეოგრაფია —მთელი ყუბანი

ჩრდილოეთ კავკასიონის მთისწინეთიდან დონის ველებამდე — მთელ ყუბანის დაბლობზე დღეს გუგუნებენ მოსავლის ასაღები მანქანები. საადრეო თავთავიანების მკას შეუდგნენ მხარის ყველა ძირითადი მემარცვლეობის რაიონები. მექანიზატორებმა პორეულის მკისა და ლეწვიაათვის გაიყვანეს 25 ათასი სამკელი მანქანა და კომბაინი. საშემოდგომო ქერი მომწიფილა და ალეწილია ასი ათას ჰექტარზე მეტ ფართობზე. მიწათმოქმედების მაღალი კულტურის მეურნეობებში მარცვლეულის მოსავალი ჰექტარზე 40 ცენტნერს და მეტს შეადგენს.

(საკდესის კორ.).

ძიება, შეეოქმედება

ახალგაზრდა კადრების პრაქტიკული და იდეოლოგიური წრთობა—მთავარი საზრუნავი

ჩვენ ახალგაზრდული მხრებით უნდა ზიდოთ უდიდესი პასუხისგები საქმე — უნდა შეინარჩუნოთ ჩვენი მიღწევები, განამტკიცოთ და ამრავლოთ ისინი. დღეს თქვენ ამ ძველი თაობის თანაშემწენი ხართ, რომელიც ხომალდის საჭესთან დგას. ეს ხომალდი ჩვენი სამშობლოა.

ამ სიტყვებით, რომლებიც ამ საამოდე კვირის წინათ გაისმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში, სადაც რესპუბლიკური კომკავშირული აქტივის კრება მიმდინარეობდა, მიმართეს ჩვენი სახელოვანი უფროსი თაობის წარმომადგენლებმა საქართველოს ყველა კომკავშირელს, ყველა ახალგაზრდას.

დიახ, საქართველოს კომკავშირი, როგორც ახალგაზრდობის საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირის ერთ-ერთი მოწინავე და აქტიური რაზმი, მუდამ ერთგულია უფროს თაობათა სახელოვანი ტრადიციებისა, მუდამ კეთილსინდისიერად ასრულებს თავისი მასწავლებლისა და აღმზრდელის — საქართველოს კომპარტიის პასუხსაგებ დავალებებს.

და აი ახლა, როცა ჩვენს რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ქვეყანაში, დიდი შემოქმედების და შრომის, შეუნელებელი ძიებისა და შენების მკაცრი, ხალისიანი დღეებია, როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ნამდვილი რევოლუციური მგზნებარებითა და პირდაპირობით მეტად საჭიროა გარდაქმნებს ახორციელებს ჩვენი ცხოვრების ყველა უბანზე, ბუნებრივია, სწორედ აქ. ამ მოწინავე ხაზზე უნდა იდგეს საქართველოს კომკავშირიც, სწორედ აქ უნდა გამოჩნდეს მთელი სიცხადით ახალგაზრდული შემართება, დაულალავი მარკვენა და მგზნებარე გული.

კარგ და სასარგებლო კომკავშირულ საქმეებს ვინ მოთვლის, ან ყოველივეს აღრიცხვას რა ფიგნი, რა ფურცლები ეყოფა! მაგრამ ლენინური კომკავშირის თვითეულ წევრს მუდამ უნდა ახსოვდეს ბელადის სიტყვები, რომ მთავარია ყურადღება მივაპყროთ ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემებს. მთელი გულახდილობით უნდა თქვას: რესპუბლიკის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნეს მთელი თავიანთი საქმიანობა ახალ მოთხოვნათა შესაბამისად, ჯერ კიდევ რიტმულად ვერ აუწყეს ფეხი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მიერ ამ უკანასკნელ ხანს მიღებულ დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა მიხედვით გაშლილ მჩქეფარე მუშაობას.

სწორედ ამ ფაქტის გულწრფელი აღიარება, კომკავშირის წინაშე დასმული პასუხსაგებ ამოცანათა ღრმად გაზრება და გაგება წმინელ ზოლად გასდევდა რესპუბლიკური კომკავშირული აქტივის კრების მთელ მუშაობას.

კომკავშირი პარტიის საიმედო რეზერვი და თანაშემწეა! კვლავ და კვლავ ვიმეორებთ ამ სიტყვებს — ცხოვრებით, ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის ისტორიით შემოწმებულ ამ ჭეშმარიტებას და ამიტომაც მიგვაჩნია, რომ საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციის აქტივის კრება ნამდვილი ლოგიკური გაგრძელება იყო ჩვენი რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბოლო ხანს გამართული პლენუმებისა და აქტივის კრებებისა. საქართველოს კომუნისტებმა შეიმუშავეს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში არსებული ჩამორჩენის აღმოფხვრის, ამ დარგების შემდგომი განვითარების მოფიქრებული, კონკრეტული ღონისძიებანი, განსაკუთრებული უურადღება დაუთმეს პარტიულ-ორგანიზაციული, კადრებთან მუშაობის, იდეოლოგიური საქმიანობის ყოველმხრივ გაუმჯობესების საკითხებს. ერთი სიტყვით, ეს არის მთავარი და უდიდესი მასშტაბის სამუშაო სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლის გზაზე. და როცა საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას ამ ეტაპზე მოქმედების ახე ნათელი და კონკრეტული გეგმა აქვს, აქ პირველ რიგში მის მოწოდებას აქტიურად უნდა გამომაურებოდა უპირველესი თანაშემწე — რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაცია.

კომკავშირული აქტივის კრებამ ღრმად, ხაზგასმით პრინციპულად და გულახდილად გააანალიზა საქართველოს კომკავშირის მუშაობა სკკპ XXIV ყრილობის მიხედვით, შეაფასა რესპუბლიკის კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დონე და დასახა თვითეული კომკავშირელის, თვითეული ახალგაზრდის ლენინური ანდერძის სულისკვეთებით აღზრდის მეცნიერულად დასაბუთებული გზები.

ამყამად საქართველოს ახალგაზრდობას, თვითეულ კომკავშირულ ორგანიზაციას აქტივის კრების მოხსენების, აგრეთვე რეზოლუციის და სხვა მასალების სახით ამ ეტაპზე აქვთ საუკეთესო სახელმძღვანელო მომავალი მუშაობისათვის. კრების მეტად შინაარსიან მასალებში ახლი ბოვნიან თითქმის ყველა კონკრეტულ პასუხს თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, იმაზე, თუ როგორ მოაწყონ და უსწორმასწორონ სოციალისტურ შეჯიბრებას ახალგაზრდობაში, როგორ აღკვეთონ ბევრ საქმეში დამკვიდრებული შაბლონი და ფორმალიზმი, როგორ აამაღლონ თვითეული პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობა. როგორ გააქტიურონ თავიანთი ახალგაზრდული ძალები.

ამ დღეებში ადგილებზე, ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში, გაჩაღდება ახალგაზრდობის დიდი და საქმიანი საუბარი — რესპუბლიკური აქტივის კრების შედეგებს განიხილავენ საოლქო, საქალაქო, რაიონული კომკავშირული აქტივების, პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების კრებები, აგრეთვე გაერთიანებული ახალგაზრდული შეკრებები. ამოცანა ის არის, რომ ამ კრებებს ყველგან მიეცეს მეტად საქმიანი ხასიათი, წარიმართოს ისინი ორგანიზებულად, მაღალ დონეზე, გულახდილი და პრინციპული სჯა-ბაასი გაიმართოს მთავარ ამოცანებზე, ახალგაზრდების ყურადღება გამახვილდეს გადაუჭრელ პრობლემებზე, არსებული ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის, მთელი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გაჯანსაღება - გაუმჯობესებისათვის ზრუნვაზე. ერთი სიტყვით, რესპუბლიკური კომკავშირული აქტივის კრების სულისკვეთება უნდა გადაეცეს ყველას.

საჭიროა ამ დიდ ღონისძიებაში, ახალგაზრდობის ამ დიდ საუბარში, აქტიურად მიიღონ მონაწილეობა პარტიულ ორგანიზაციათა ბიუროების, კომიტეტების მდივნებმა, ხელმძღვანელებმა, ჩვენი პარტიული აქტივის წარმომადგენლებმა.

მრავალმხრივი და მრავალფეროვანია კომკავშირული ცხოვრება, მაგრამ ყოველთვის მაინც შეგვიძლია გამოვყოთ მთავარი პრობლემები, მთავარი ამოცანები, ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირული აქტივის კრებამ კომკავშირული კოლექტივების მოღვაწეობის უმთავრეს საქმედ აღიარა ახალგაზრდობის ალზრდა სახელოვან რევოლუციურ, შრომითსა და საბრძოლო ტრადიციებზე.

აიღონ უკეთესი იმისაგან, რაც გუშინ დამკვიდრდა, გამოიყენონ მდიდარი გამოცდილება, რომელიც კომკავშირმა წლების მანძილზე შეიძინა, ეძიონ მუშაობის ახალი სახარგებლო ფორმები და მეთოდები. ჩაებან ყოველი ახალგაზრდა ადამიანი აქტიურ საზოგადოებრივ შრომაში — ეს თვითეული პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი სადღეისო ამოცანაა.

ამბობენ, რკინა ცეცხლში იწრთობოო. თვითეული ახალგაზრდაც კომუნიზმის ჭეშმარიტი მშენებელი რომ გახდეს, კომუნისტურად აღიზარდოს და გამოიწრთოს, სწორედ ცხოვრების ქურაში უნდა იმყოფებოდეს, პრაქტიკულ საქმეებზე მწიფდებოდეს. მეცხრე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება საუკეთესო საშუალებაა ქალაქისა და სოფლის თვითეული ახალგაზრდის ნიჭისა და უნარის გამოსავლენებლად.

ახალგაზრდობის გამრჯე ხელს ელის რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ბევრი ჩამორჩენილი დარგი, უბანი, გაჭიანურებული მშენებლობანი. კომკავშირის მოვალეობაა იზრუნოს როგორც სახელმწიფო გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებისათვის, ისე პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის, ახალი ობიექტების ამოქმედებისათვის, ნათესებისა და ნარგავების ფართობის ზრდისათვის, მეტი პირუტყვისა და ფრინველისათვის.

ამყამად ბევრი უფროსკლასელი და სტუდენტი ალებს მონაწილეობას სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ობიექტების მშენებლობებში. შრომითი სემესტრის წარმატებით ჩასატარებლად დანიშნულების ადგილზე უკვე გაემგზავრნენ ჩვენი უმაღლესი სასწავლებლებიდან ახალგაზრდული რაზმები. ეს პერიოდი უნარიანად უნდა გამოვიყენოთ მოზარდთა შრომითი აღზრდისათვის, მათში მაღალი მოქალაქეობრივი უფლებებისა და მოვალეობის ჩამოყალიბებისათვის.

დამთავრდა მიმდინარე წლის ნახევარი. ბევრი სამრეწველო საწარმოს კომკავშირულმა კოლექტივებმა კარგად გაართვეს სამეს თავი. სოფლად ჩაის კრეფის გახურებული დღეებია, დაიწყო პურეულის მკა, მიმდინარეობს პირუტყვისათვის საკვების დაგროვება და სხვა სამუშაოები.

ეს შრომითი ზაფხული უნდა იქცეს მეცხრე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის დავალებათა შესრულებაში ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობის საუკეთესო ანაბარზად.

თავიანთი დიდი და პასუხსაგები ამოცანები აქვთ გადასაწყვეტი მომსახურების სფეროში, სავაჭრო, სატრანსპორტო, სამედიცინო დაწესებულებებში მომუშავე კომკავშირელებს, მათს პირველადს ორგანიზაციებს. სწორედ აქტივის კრებამ უურადღება გამამახვილა იმაზე, რომ განსაკუთრებით ამ დაწესებულებებში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ზომაწონაში მოტყუების, გამოძალვის შემთხვევებს.

საჭიროა უმკაცრესი ბრძოლა გაჩაღდეს უსაქმურობის, მუქთახორობის, საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისათვის თავის არიდების, ხულიგნობის, ამორალური ქცევის, ქურდობის და სხვა ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ. ახეთი ბრძოლის გაუჩალებლად ზედმეტია ლაპარაკი ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის გაუმჯობესებაზე.

დიდი, ძალზე დიდი სამუშაო მოელით სამეცნიერო, კულტურის და სხვა დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების კომკავშირულ ორგანიზაციებს.

მაგრამ მიუხედავად ცალკეული, კონკრეტული ამოცანებისა, ყველა კომკავშირულ ორგანიზაციას აქვს მთავარი, საერთო საკითხები: კომკავშირული ცხოვრების, იდეოლოგიური მუშაობის ყოველმხრივ გააქტიურება და გაძლიერება. ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რა მჩქეფარე მუშაობას გაშლის თვითეული პირველადი კომკავშირული ორგანიზაცია, მისი საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტები, როგორი ახალგაზრდები იქნებიან მათ სათავეში, როგორ გამოიყენებენ ორგანიზაციული და აღმზრდელობითი მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს, ამ საქმიანობის მთელ მდიდარ არსენალს.

რამდენიმე დღის წინათ ჩვენს რესპუბლიკაში მოეწყო საბჭოთა ახალგაზრდობის ფესტივალის დასკვნითი ღონისძიებანი. იგი საქართველოს ჭაბუკებისა და ქალიშვილების ერთგვარი დათვალიერება-შემოწმება იყო, თუ რა შედეგს აღწევენ სოციალისტურ შეჯიბრებაში, როგორ უტიენენ ყოველგვარ უწესრიგობას, საზოგადოებრივი კანონიერების დარღვევებს, როგორია მათი ფიზიკური და სამხედრო-ტექნიკური მომზადება.

და საერთოდ, ეს მიმდინარე, ბევრისმთქმელი წელი, ეს მეცხრე ხუთწლედი, რომლის მეორე ნახევარიც უკვე დაიწყო, მთელი ჩვენი ცალების დათვალიერებასთან ერთად საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციის დათვალიერება, რესპუბლიკის ჭაბუკებისა და ქალიშვილების რევოლუციური რწმენის, კომუნიზმის საქმისადმი, ოქტომბრის იდეალებისადმი მათი ერთგულების შემოწმებაც იქნება. დღეს ყოველი მხრიდან გაისმის ახალგაზრდული ხმები, რომლებიც სულ ახლახან დამთავრებული კომკავშირული აქტივის კრების გამოძახილია: ჩვენ მუდამ და ყველა საქმეში ლენინის პარტიასთან ვართ!

ხუთწლედის ვახტზე



△ მიწისძვეშა გაზსაცავი △ დევიზია: ყაირათიანობა △ მუშათა რიცხვის შეუცვლელად △ შეიძინა ლაგორატორიებში — დაამზადეს ქარხნებში △ 17-სართულიანი სასტუმრო △ „ლენინის გენიალური რჩევა“.

მოკმე აზერბაიჯანში

დამთავრდა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი ბუნებრივი გაზსაცავის სამრეწველო გამოცდა, რომელიც ამიერკავკასიის რესპუბლიკების სახალხო მეურნეობას მოემსახურება.

მილიარდ კუბურ მეტრზე მეტი ტევადობის გიგანტურ ბუნებრივ რეზერვუარად გადაკეთების კალმასის გამომუშავებული გაზონდენსატის ბუდობა, რომელიც 100 კილომეტრზეა ბაქოს სამხრეთით. 15 კვადრატულ კილომეტრ ფართობზე, სადაც გაზს შეინახავენ, გაბურღეს საშუალოდ 1500 მეტრი სიღრმის ჭაბურღილები. გამოდიან დროს ამ ჭაბურღილებით მიწის წიაღი ჩატუმბეს 300 ათასი კუბური მეტრი გაზი. სულ კი მომდინარე წელს განზრახულია მიწაში შეინახოს ჩატუმბონ 50 მილიონი კუბური მეტრი სათბობი. ზაფხულის თვეებში, როცა გაზის მოხმარება კლებულობს, მის ნაწილს ბუნებრივ საცავებში ჩატუმბავენ. ისინი უზრუნველყოფენ გაზმომარაგების წყაროების რიტმულ მუშაობას, მაგისტრალური გაზსადენების რენტაბელურ გამოყენებას.

ხუთწლედის დამლევს, მიწისქვეშა საცავის გაკეთების შემდეგ შეიქმნება პირობები იმისათვის, რომ ზამთრინთ ნორმალურად მოამარაგონ გაზით აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის ყველა მომხმარებელი.

130 ტონა თუჯი და შაი ნაგლინი, 90 კუბური მეტრი ხე-ტყე, 5 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია დაზოგეს წელის დამდეგიდან კომუნისტური შრომის საწარმოში — ბაქოს ოქტომბრის რეკონსტრუქციის სახელობის ვაგონშემკეთებელ ქარხანაში. დაზოგილი მასალებით მუშებმა შეაკეთეს 27 რკინიგზის ცისტერნა. წლის დამდეგიდან გეგმის გადამეტებით შესრულდა სამუშაოები და გამოშვებულია 90 ათასი მანეთის პროდუქცია. სულ უფრო იზრდება შრომის ნაყოფიერება.

შეჯიბრებაში ტონის მომცემია მექვაბეთა „ბრიგადა, რომელსაც მეთაურობს წარჩინებული ნოვატორი, აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გამზარ ბალაევი.

დამკვრელურად დგას ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის ვახტზე ბაქოს მშრალი ტრანსფორმატორების ქარხნის კოლექტივი. მან ვადამდე შეასრულა ნახევარი წლის გეგმა. გასული წლის შუაბამის პერიოდთან შედარებით პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა 28 პროცენტით გაიზარდა, თუმცა მუშათა რიცხოვნობა უცვლელი დარჩა. ეს თვალსაჩინო წარმატება მიღწეულია შრომის ნაყოფიერების ზრდის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მეოხებით. მოწინავენი პირობას დებდნენ, რომ ივნისის დამდეგამდე ნახევარი წლის დავალების გადამეტებით სასალხო მეურნეობას მისცემდნენ 350 ათასი მანეთის ტრანსფორმატორს. გაამარჯეს.

ამით ვადამდე შესრულდება ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლისათვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი. მოწინავე საწარმოს შრომელებმა გაითვალისწინეს შესაძლებლობანი, რომლებსაც წარმოების ინტენსიფიკაციის კოლექტიურად დასახული პროგრამის განხორციელება ქმნის, და იკისრეს წინანდელზე გაცილებით დიდი ახალი ვალდებულებანი.

კასიმოვის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში დაიწყო პირველი საცდელი აგრეგატის დამონტაჟება ნავთობის ფენაში თსევადი ნახშირორჟანგის დასაჭირხნად. სიახლის შემწეობით შესაძლებელი გახდება იმ ჭაბურღილების „გამოცოცხლება“, რომლებმაც წლების განმავლობაში დაკარგეს მწარმოებლობა. გათხევადებული ნახშირორჟანგი, როცა მიწის ქვეშ შეუერთდება წყალს და გადაიქცევა გაზად, მნიშვნელოვნად გაადიდებს თავის მოცულობას, გაზრდის წნევას ფენაში და გახსნის შესქელებულ ნავთობს. ამასთან უახლოესი ჭაბურღილების დებიტი ბევრად გაიზრდება.

აგრეგატი შედგება მოწყობილობის მთელი კომპლექსისაგან, რომელშიც შედის მაღალი წნევის სპეციალური ტუმბოები, რომელზეც არ მოქმედებს მოცულობის კოროზია, სხვადასხვა ხელსაწყოები. ხიახლე დააპროექტეს აზერბაიჯანის ნავთობის მანქანათმშენებლობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებმა ვროზნის, ოდესისა და ვოლგოგრადის კონსტრუქტორებთან ერთად.

ბაქოში ყველაზე მაღალი შენობაა 17-სართულიანი სასტუმრო „აზერბაიჯანი“, რომელიც წარმტაცი ყურის ნაპირზე აშენდა ქალაქის ცენტრში არქიტექტორთა ჯგუფის პროექტით, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის სახალხო არქიტექტორი მ. უსეინოვი.

მოვარდისფრო ტრავერტინით მოპირკეთებულ უზარმაზარ კორპუსში განლაგებულია ერთ და ორადგილიანი კომფორტული ნომრები 801 კაცისათვის. აქ სტუმრების განკარგულებაშია ოდადარბაზიანი რესტორანი, სამი საბანკეტო დარბაზი, რამდენიმე კაფე-ბარი და სხვ.

სასტუმრო აღჭურვილია ჩქარი ლიფტებით. ყველა საზოგადოებრივი დანიშნულების სათავეში აღჭურვილია კონდიციონერებით.

გაისად მწყობრში ჩადგება სასტუმროს მორე რიგი და „აზერბაიჯანში“ მაშინ იქნება 1.200 ადგილი — იმდენი, რამდენიც არის ახლა ბაქოს ყველა სასტუმროში ერთად.

ცხოვრების სოციალისტური გარდაქმნის კონკრეტული პროგრამით შეაიარაღა ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და დაღესტნის მშრომელები ვ. ი. ლენინის ისტორიულმა წერილმა „აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნის, მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ კომუნისტებს“. ლენინის გენიალური ანდერძის შესრულებაზეა ლაპარაკი წიგნში „ლენინის გენიალური რჩევა“, რომელიც მახსობრივი ტირაჟით გამოსცა აზერბაიჯანის სახელმწიფო გამომცემლობამ.

წიგნში, რომელიც ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ მ. კაზიევის რედაქციით გამოიცა, აზერბაიჯანელ მეცნიერთა ნაშრომებთან ერთად გამოქვეყნებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტის ა. მეხოეშვილის, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის გ. იოანესიანის, დაღესტნის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ა. ამიევოვის, გროზნოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის მ. გიოევის, ყაბარდო-მალყარეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტის ა. ტეკუევის სტატიები. (აზერინფორმი).

ქარგად შრომობს ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წელს აზერბაიჯანის ვ. ი. ლენინის სახელობის მილსაგალინავი ქარხნის ელექტროშემდუღებელი კომკავშვილი აკიფ ამანოვი, იგი ყოველდღიურად გადაჭარბებით ასრულებს ცვლის დავალებებს, იძლევა პროდუქციას მხოლოდ „ფრიადი“ შეფასებით.

ს ურ ა თ ნ ი: ელექტროშემდუღებელი ა. ამანოვი.

ი. ხალილოვის ფოტო („ბაკინსკი რაბოჩი“).

ციმბირელთა შეკვეთით

თხუთმეტი ტონა ფოლადის მილები შეუძლია ასწოოს ალ ტრანშეაში ჩაუშვას ახალმა მილჩაშენებმა, რომლის პირველი ეკუმბლარის დამონტაჟება დამთავრდა ბაქოს ბ. სარდაროვის სახელობის მანქანათსაშენე ბ ელ ქარხანაში. ტრასასთან კი ამ უზარმაზარ ლითონის „კოლონებს“, რომელთა სიგრძე 30 მეტრს აღწევს, მიიტანენ მძლავრი მილსაწიღები, რომლებსაც სპეციალური გასაშლელი მისაბმელები აქვთ. ამ მისაბმელების წარმოება აითვისა ქარხანა „ბაკინსკი რაბოჩიმ“. ორივე სიახლე შედის ტიუმენის ოლქის ჩრდილოეთში მილსადენების შენებლობისათვის გათვალისწინებულ მოწყობილობის კომპლექტში. მათ აქვთ გადიდებული გამძლეობა, დათბენებული კიბინები მძღოლებისათვის და მართვის სრულყოფილი სისტემა.

ციმბირელ მენავთობეთა შეკვეთით აზერბაიჯანის დიდი ქალაქის მანქანათმშენებლები ახლა უშვებენ შეიი სახეობის სხვადასხვა მოწყობილობას. წლის დამლევამდე დასახულია ჩრდილოეთისა თ ვ ი ს განკუთვნილი პროდუქციის წარმოებაზე მთლიანად დაასპეციალონ ბაქოს 14 სარეწი, მანქანათმშენებლობის საწარმოდან ერთ-ერთი საწარმო.

აზერბაიჯანის სსრ. ხალაკშირო დამკვრ ე ლ ურ ი ობიექტია ხუმგაითის ქიმიური კომბინატის მშენებლობა, რომელიც მომდინარე ხუთწლედის ბოლოს უნდა დამთავრდეს. კომბინატი 40 სახის პროდუქციას გამოუშვებს. მწყობრში ჩადგება 20 მსხვილი საწარმო. სადაც მინერალური სასუქები, შხამქიმიკ ა ტ ე ბ ი, პლასტმასის მისალებად საჭირო ნედლეული, სინთეტურ ი ბოჭკო დამზადდება.

ს ურ ა თ ზე: კომბინატის სასაქონლო პარკი მზად არის პროდუქციის მისალებად.



რსდმპ II ყრილობა და ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია

ვ. ი. ლენინთან ერთად

ვ ა ლ ა ვ ა ძ ე

ამ ერ ი ს ა ბ ა ს ი ე ლ ი

ეროვნული ეკონომიკა

ეროვნული ეკონომიკა

ეროვნული ეკონომიკა

ბოლშევიზმისათვის

ჯგუფებს მჭიდრო და მუდმივი კავშირი ჰქონდათ „ისკრასთან“, ვ. ი. ლენინთან და, ხელძღვანელობდნენ რა მათი მითითებით, ეწეოდნენ თანმიმდევრულ ბრძოლას ახალი ტიპის პროლეტარული პარტიის აგების ლენინური გეგმისათვის და წარმართავდნენ მხარის მუშათა რევოლუციურ ბრძოლებს ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

მას შემდეგ, რაც ამიერკავკასიის ყველა რევოლუციურ ცენტრში შეიქმნა ლენინურ-ისკრული კომიტეტები, წარმოიშვა მთელი მათი მოღვაწეობის კოორდინირების, კავკასიის ყველა კომიტეტის რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კავკასიის კავშირში გაერთიანების საჭიროება. ამ მიზნით 1903 წლის მარტის შუა რიცხვებში თბილისში არალეგალურად მიხა ცხაკაიას ხელძღვანელობით შედგა კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების პირველი ყრილობა. მისი უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების გაერთიანება რადმკ კავკასიის კავშირში ამ პრინციპულ და ორგანიზაციულ საკითხებზე, რომლებიც შემუშავებულ იქნა ვ. ი. ლენინის მიერ, ეს ამოცანა ერთსულოვნად იქნა გადაჭრილი ყრილობის მიერ. შეიქმნა რსდმკ კავკასიის კავშირი. იგი მოასწავებდა ახალი ეტაპის დასაწყისს ამიერკავკასიის ლენინურ-ისკრული მიმართულების სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ცხოვრებაში. რსდმკ კავკასიის კავშირის შექმნით ყრილობამ ერთსულ კიდეკ დაადასტურა, რომ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების აგების ლენინური ინტერნაციონალისტური პრინციპი, რომელიც თავიდანვე ხორციელდებოდა, ერთადერთი სწორი პრინციპი იყო.

რსდმკ კავკასიის კავშირის ყრილობამ გამოთქვა სრული სოლიდარობა ლენინური „ისკრისა“ და „ზარიასადმი“, მოიწონა მათ მიერ შემუშავებული ტაქტიკა, პროგრამა, პარტიის აგების ორგანიზაციული გეგმა და ისინი საფუძვლად დაუდო კავშირის საქმიანობას. ყრილობამ „ისკრა“ ცნო რსდმკ ხელმძღვანელ ორგანოდ.

1901-1902 წლებში თბილისის, ბაქოსა და ბათუმის კომიტეტების და „სომეს სოციალ-დემოკრატთა კავშირის“ მეშვეობით ლენინური ისკრული მიმართულების რსდმკ კავკასიის კავშირისა და იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტების მოწყობა მოასწავებდა ამიერკავკასიაში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის გაფართოებას, უფრო მეტ ენერგიას, ეტაპს რუსეთში ახალი ტიპის პროლეტარული პარტიის შექმნის გზაზე.

1903 წლის გაზაფხულისათვის ვ. ი. ლენინის მიერ გაწეული ხანგრძლივი და გულმოდგინე მუშაობის შედეგად, ლენინის წიგნის „რა ვაკეთოთ?!“ გავლენით რუსეთის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტების უმრავლესობა „გადაჭრით გაემეჭა „ეკონომიზმს“ და მთელ თავის მუშაობას საფუძვლად დაუდო „ისკრის“ მიერ შემუშავებული იდეოლოგიური, ორგანიზაციული და ტაქტიკური პრინციპები.

სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში ლენინურ-ისკრული მიმართულების გამარჯვებამ დღის წესრიგში დააყენა რსდმკ II ყრილობის მოწვევის საკითხი. ხელძღვანელობდნენ რა ლენინის მითითებებით, კავკასიის კავშირის ისკრული ორგანიზაციებმა მიიღეს უოღრესად აქტიური მონაწილეობა ყრილობის მოწვევისათვის მოსამზადებელ მუშაობაში. მათ ერთ-ერთმა პირველებმა სცნეს ორგანიზაციული კომიტეტი, დაამყარეს მასთან უშუალო და ცოცხალი კავშირი და ახორციელებდნენ მისთვის აქტიურ დახმარებას.

1903 წლის გაზაფხულისათვის ჩატარდა რუსეთის ყველა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში ყრილობის დელეგატების არჩევნები. ეს არჩევნები ტარდებოდა ორგანიზაციული კომიტეტის მიერ შემუშავებული მოთხოვნების შესაბამისად. ყრილობაზე თავიხი წარმომადგენლებს გაუზავთს უფლება ჰქონდათ იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც სოფლებში საკმაო რაოდენობით ჰქონდათ მუშათა წრეები, ბეჭდვითი გამოცემები. ამიერკავკასიაში ამ მოთხოვნებს უპასუხებდნენ ბათუმის, ბაქოს და თბილისის კომიტეტები. დელეგატებად არჩეულ იქნენ ბაქოს კომიტეტისაგან — ბ. კნუნიანცი, თბილისის კომიტეტისაგან — დ. თოფურიძე, ბათუმის კომიტეტმა ირჩია ა. ზურაბოვი. მათ ჰქონდათ ორ-ორი ხმის უფლება. კომიტეტებმა თავიანთ დელეგატებს დაავალეს რსდმკ მეორე ყრილობაზე მხარი დაეჭირათ ვ. ი. ლენინისათვის, ზავნის ა. ზურაბოვი. ამ წერილში დეტალურად იყო აღნიშნული მენშევიკების ძირგამომთხრელი საქმიანობა ამიერკავკასიაში. წერილში ლაპარაკი იყო ბერეთვე კავკასიის კავშირის კომიტეტის მიერ თოფურიძის წინააღმდეგ მიღებული ორგანიზაციული ზომების შესახებ.

გაეცნო რა ამიერკავკასიაში ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის გაჩაღებული ბრძოლის მსვლელობას, ვ. ი. ლენინმა 1903 წლის 20 ოქტომბერს პლეხანოვთან ერთად გაუგზავნა წერილი რსდმკ კავკასიის კავშირის კომიტეტს. ამ წერილში იგი მიესალმა კავკასიის კავშირის კომიტეტის ბრძოლას მენშევიკების წინააღმდეგ და მოიწონა მის მიერ დ. თოფურიძის დეზორგანიზატორული საქმიანობის საწინააღმდეგოდ მიღებული ორგანიზაციული ღონისძიებანი. თავის წერილში ვ. ი. ლენინი კმაყოფილებით მიესალმა კავკასიის ბოლშევიკების გადაწყვეტილებას — მტკიცედ დაეჭირათ მხარი პარტიის II ყრილობის გადაწყვეტილებებისათვის:

„დაე კავკასიელი ამხანაგები მტკიცედ იდგნენ იმ ბაზაზე, რომელსაც ისინი დაადგნენ, — წერდა ვ. ი. ლენინი თავის წერილში, — ნუ უდგებენ ეურს ჰერეგს უმრავლესობის წინააღმდეგ, მალე გამოჩნდა ყრილობის სრული ოქმები, და მაშინ ხალხმა ყველასთვის ნათელი იქნება, განაგრძეთ შეწყობილი მუშაობა ამხანაგური ნდობით ცენტრალური კომიტეტისადმი, და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ახლანდელი პარტიული „არეულობა“ მალე დაცხრება“:

იმ მიზნით, რომ ამიერკავკასიაში შექმნილი მძიმე შინაპარტიული მდგომარეობის დასაძლევად შეეშუშავებინა ღონისძიებანი, კავკასიის კავშირის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება კავკასიის კავშირის მორიგი ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევის შესახებ. ყრილობა შეიკრიბა თბილისში 1903 წლის ოქტომბრის მეორე ნახევარში. მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის, ბაქოს, ბათუმისა და იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტების წარმომადგენლებმა. ყრილობის დღის წესრიგის მთავარი საკითხები იყო რსდმკ II ყრილობის შედეგების განხილვა და შემდგომი მუშაობის გეგმის შემუშავება.

რსდმკ კავკასიის კავშირის II ყრილობამ, მიუხედავად მენშევიკების გააფთრებული წინააღმდეგობისა, მიიღო ბოლშევიკური რეზოლუცია, რომელიც იწონებდა ლენინისა და მისი მომხრეების პოზიციას რსდმკ II ყრილობაზე და გვობდა მენშევიკების დეზორგანიზატორულ საქმიანობას. ყრილობამ აირჩია კავკასიის კავშირის კომიტეტის ახალი შემადგენლობა, რომელშიც უმთავრესად ლენინის მომხრეები შეიდნენ. ამ გარემოებამ კიდევ უფრო განამტკიცა ბოლშევიკების პოზიციები ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებში.

ამრიგად, კავკასიის კავშირის ყრილობამ ცხადყო, რომ პარტიულ მუშაკთა უმრავლესობა მტკიცედ იდგა ლენინის პოზიციაზე, იცავდა ბოლშევიკურ პრინციპებს და თანმიმდევრულად, შეურიგებლად ებრძოდა მენშევიკებს. რსდმკ კავკასიის კავშირის ყრილობაზე ბოლშევიკების გამარჯვებამ ამიერკავკასიაში მნიშვნელოვნად განამტკიცა ლენინელების პოზიცია მენშევიზმის წინააღმდეგ.

ისევე როგორც კავკასიის კავშირის კომიტეტი, ვ. ი. ლენინის მხარეზე, ბოლშევიკების პოზიციებზე თავიდანვე მტკიცედ დადგნენ რსდმ პარტიის პეტერბურგის, მოსკოვის, ტვერის, რიგის, ჩრდილოეთის, ურალის, ნიჟოლაევის, ოდესის, ეკატერინოსლავის, ეიმბატის კავშირისა და სხვა ადგილობრივი კომიტეტები. ამ კომიტეტებს თავიანთ კონფერენციებსა და კრებებზე გამოაქვეყნდა რეზოლუციები, რომლებშიც მხარდაჭერას აღუთქვამდნენ ვ. ი. ლენინს მენშევიკების დეზორგანიზატორული საქმიანობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ლენინურმა პარტიამ, რომელიც შეიქმნა რსდმ II ყრილობაზე, განაგრძო ჯ. მარჯანოს და ფ. ენგელსის მიერ შექმნილი კომუნისტების კავშირისა და I ინტერნაციონალის დიდი საქმეები, II ინტერნაციონალის საუკეთესო ტრადიციები. ლენინურმა პარტიამ თავიხი ისტორიის მანძილზე განვლო რევოლუციური ბრძოლების სახელოვანი გზა, რომლის მსვლელობაში მან გამოსჭედა თავიხი ერთიანობა და გადაიქცა მძლავრ, 15-მილიონიან არმიად, რომელიც დგას მასების სათავეში, აშენებს კომუნიზმს, ახორციელებს სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, მის მიერ შემუშავებულ მშვიდობის პროგრამას.

გრიგოლ უვანია,
პროფესორი.

თათბირი ჰელსინკში

ჰელსინკი. 3 ივლისი. (საკდესი). დღეს აქ დაიწყო ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებისადმი მიძღვნილი თათბირი. ეს თათბირის პირველი ეტაპია და მიმდინარეობს საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე. თათბირში მონაწილეობენ ევროპის 33 სახელმწიფოს, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის დელეგაციები. საბჭოთა კავშირის დელეგაციას მეთაურობს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო.

თათბირი გახსნა ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. კარიალაინენმა.

მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა უ. კ. კეკონენმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებისადმი მიძღვნილი თათბირის ისტორიული მნიშვნელობა. ფინეთის მთავრობისა და ფინელი ხალხის სახელით უ. კ. კეკონენმა თათბირის მონაწილეებს უსურვა წარმატებანი მუშაობაში.

დელეგატებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კურტ ვალდჰაიმმა. მან თქვა, რომ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებისადმი მიძღვნილი თათბირით ახალი, იშვიდი ჩამსახველი თავი იწყება ევროპისა და მთელი მსოფლიოს ისტორიაში.

დღევანდელ დილის სხდომაზე თათბირის მონაწილეებმა მოიწონეს ჰელსინკის მრავალმხრივი კონსულტაციების საბოლოო რეკომენდაციები.

ჟურნალისტის დღე

ქმგეგი, ფაქტები, მოვლენები

ა. ა. გრომიკო ჰელსინკში

ჰელსინკი. 2 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს აქ ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, რომელიც მეთაურობს საბჭოთა დელეგაციას ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებისადმი მიძღვნილ თათბირზე.

დელეგაციას შეხვდნენ ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. კარიალაინენი, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ფინეთში ვ. ი. ძალცევი.

ჩამოსვლისას ა. ა. გრომიკომ განაცხადა, რომ სრულიად ევროპის თათბირი, რომლის პირველ ფაზაში მონაწილეობისათვის ჰელსინკში ჩამოვიდა საბჭოთა დელეგაცია, დიდი მოვლენაა ევროპის ომისშემდგომ ისტორიაში. თუმცა ევროპიულად ფინეთი ჩრდილოეთ ევროპაში მდებარეობს, საკრამ მისი დედაქალაქი ამ დღეებში ევროპის კონტინენტის პოლიტიკური ცხოვრების ცენტრი ხდება. აქ იკრიბებიან ევროპის სახელმწიფოთა, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის წარმომადგენლები, რათა განიხილონ ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის უზრუნველყოფის ყველაზე აქტუალური პრობლემები.

თათბირი, განაგრძო ა. ა. გრომიკომ, მუშაობას იწყებს საერთაშორისო მდგომარეობის გაჯანმრთელების ხელსაყრელ მომენტში. სხვადასხვა ხაზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა ურთიერთობაში სულ უფრო მკვიდრდება მშვიდობიანი თანაარსებობისა და კეთილმეზობლობის პრინციპები.

მოგვეკლის დიდი და ამასთან რთული მუშაობა. იმედი გვაქვს, რომ თათბირის მონაწილენი გამოიჩენენ კეთილ ნებას, რეალიზმის გრძნობას, მისწრაფებას კონსტრუქციული სულისკვეთებით ეძებონ ურთიერთმისაღები გადაწყვეტილებანი. საბჭოთა კავშირი თავის მხრივ მზად არის ამისათვის ყველაფერი იღონოს.

ვსარგებლობ რა შემთხვევით, თქვა დასასრულ ა. ა. გრომიკომ, მინდა მადლობა გადავუხადო ფინეთის მთავრობას დიდი ზეკლილისათვის თათბირის მომზადებისა და ორგანიზაციის საქმეში და საბჭოთა ადამიანების სახელით ყოველივე საუკეთესო ვუსურვო ჩვენს კეთილ მეზობელს — ფინელ ხალხს.

მინისტრების შეხვედრა

ჰელსინკი. 3 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ გუშინ სადილი გაუმართა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირში მონაწილეობისათვის ჰელსინკში ჩამოსული დელეგაციების მეთაურებს — საგარეო საქმეთა მინისტრებს: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა — ოტო ვინცერს, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა — სტეფან ოლშევსკის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა — ბოგუსლავ ხნოუპეკს, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკისა — ჯორჯ მაკოვესკუს, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა — იანოშ პეტერსა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა — პეტრე მლადენოვს.

საღილის დროს გამართულ საუბარში, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, მინისტრებმა განიხილეს მთელი რიგი საერთაშორისო საკითხები, რომლებიც ურთიერთ ინტერესს წარმოადგენენ თათბირის მუშაობასთან დაკავშირებით.

ვიზიტი პრეზიდენტთან

ჰელსინკი. 3 ივლისი. (საკდესი). გუშინ ფინეთის პრეზიდენტს ურჰო კეკონენს ეწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, რომელიც აქ იმყოფება ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებისადმი მიძღვნილ თათბირთან დაკავშირებით.

საუბრის დროს, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა, შეეხნენ მომავალი თათბირის მუშაობასა და საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

რომი საბერძნეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა

ჰ ივლისი. (საკდესი). საბერძნეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ბერძენ ხალხს მიმართა მოწოდებით 29 ივლისს დანიშნული რეფერენდუმის მსვლელობაში გამოხატოს, რომ არ ეთანხმება სამხედრო ხუნტის რეჟიმს.

განცხადებაში, რომელიც გადასცა რადიოსადგურმა „სამართლის ხმამ“, ნათქვამია, რომ საბერძნეთში მონარქიის გაუქმება არ ნიშნავდა, რომ შეიცვალა ანტიხალხური არსი დიქტატურისა, რომელიც ახლა ცდილობს გამოიყენოს ცრუ რეფერენდუმი და უხეში მოტყუების საშუალებით კანონიერების სახე მისცეს თავის რეჟიმს.

აღნიშნავს რა, რომ ბერძენი ხალხის წინაშე დგას ერთი ამოცანა — ხუნტის დამხობა და სახალხო ხელისუფლების დამყარება, საბერძნეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიუნია, რომ რეფერენდუმზე საჭიროა ბრძოლა გაუმართონ დიქტატურას, გამოვიდნენ ტერორის წინააღმდეგ, სამხედრო წესების გაუქმებისათვის, პოლიტიკური პატიმრების განთავისუფლებისათვის, დემოკრატიული თავისუფლებისათვის.

საბერძნეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს მოსახლეობას მიმართოს 29 ივლისს პროტესტის კონკრეტულ ფორმებს — ჩაბაროს ბიულეტენები, რომლებზეც იქნება წარწერილი „არა“, დახიოს ან წაშალოს ბიულეტენები, ჩაუშვას ცარიელი კონვერტები ან საერთოდ არ მიიღოს მონაწილეობა კენჭისყრაში.

ბრძოლა, ნათქვამია დასასრულ დოკუმენტში, გაგრძელდება ტირანიის სრულ დამხობამდე და სახალხო ხელისუფლების დამყარებამდე.

გეიერუთი

ლიბანის ახალი მთავრობა

ჰ ივლისი. (საკდესი). დღეს აქ გამოცხადდა ლიბანის ახალი მთავრობის შემადგენლობა. კაბინეტს მეთაურობს ტაკიედინ სოლი, მანვე დაიკავა ფინანსთა მინისტრის პოსტი. საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნულია ფუად ნაფეხი, ეროვნული თავდაცვის მინისტრად — ნასრი მაალუფი, შინაგან საქმეთა მინისტრად — ბაჰიჯ ტაკიედინი. ეროვნული ეკონომიკის მინისტრის პოსტი დაიკავა ჰასან რიფაიმ. სულ მთავრობის შემადგენლობაში 20 მინისტრის პოსტია, რომელთაგან ორი ჯერჯერობით ვაკანტურია.

გმოგენ ატომურ აფეთქებას

□ ტოკიო, ჰ ივლისი. (საკდესი). პიროსიმის ატომური დაბომბვის მსხვერპლთა ასოციაციამ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას გაუგზავნა მტკიცე პროტესტი ჩინეთში მოწყობილი ატომური იარაღის აფეთქების გამო.

იაპონიის მინისტრთა კაბინეტის გენერალურმა მდივანმა ს. ნიკაიდომ პრეს-კონფერენციაზე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს ატომური აფეთქება „გამოიწვევს ატმოსფეროს ძლიერ რადიაციულ გაჭუჭყიანებას და სამწუხაროა ადამიანური თვალსაზრისით“.

□ დელი. ჰ ივლისი. (საკდესი). ბომბეის გაზეთი „ეკონომიკ ტაიმსი“ გამოთქვამს აზრს, რომ ჩინეთის მისწრაფება, სრულყოს თავისი ატომური შეიარაღება, უწინარეს ყოვლისა აიხსნება პეკინის ხელმძღვანელობის ჰეგემონისტური მიზნებით, რომელსაც სურს ახორციელებდეს ატომური შანტაჟის პოლიტიკას.

როგორც გაზეთი „მინდუსტან სტანდარდი“ აცხადებს, ატომური შეიარაღების კურსი, რომელსაც პეკინი ადგას, საფრთხეს უქმნის აზიის ქვეყნების უშიშროებას.

ტოკიო

ოსაკის მოსახლეობა

ჰ ივლისი. (საკდესი). იაპონიის მეორე დიდი ქალაქის ოსაკის მცხოვრებთა რიცხვმა 8 მილიონს გადააჭარბა და მიმდინარე წლის 1 მაისისათვის შეადგინდა 8.023.352-ს. 1945 წელს ოსაკაში ცხოვრობდა სულ 2.800 ათასი კაცი.

მსოფლიოს უდიდეს ქალაქ ტოკიოში 1972 წლის ოქტომბრისათვის 11.530 ათასი მცხოვრები იყო.

მესამე, გაფაციცებული

ხუთწლედის საქმეებზე

△ სომხეთის ენერგეტიკა △ ფართოვდება ინდუსტრიული გეოგრაფია △ ეკონომიური ტრანსფორმატორი △ სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად △ მეცნიერები — სახალხო მეურნეობას △ ვ. მაიაკოვსკის იუბილესათვის △ ახალგაზრდა მეცნიერის კლუბი.



მოქმედ სომხეთში

სომხეთის მრეწველობამ პროდუქციის რეალიზაციის მიმდინარე წლის ხუთი თვის გეგმა 101,7 პროცენტით შეასრულა, ხოლო პროდუქციის წარმოების მოცულობის დავალება — დაახლოებით 102 პროცენტით.

საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებში წარმოების ზრდა შეადგინა 10 პროცენტს.

სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემების თანახმად გადაკვარბებითაა შესრულებული ტრანსფორმატორების, ავტომატიკისა საშუალებათა ხელსაწყოების, ელექტროძრავების, ალუმინის, მინერალური სასუქების, ქსოვილების, ფეხსაცმლისა და სხვა ნაწარმის გამოშვების გეგმები.

გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა რძის, ხორცის, კვერცხის წარმოება.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო დამზადების მოცულობა საშუალოდ გაიზარდა 10-18 პროცენტით.

რაზდანის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში დაიწყო უკანასკნელი, მეთოხე ენერგობლოკის დამონტაჟება, რომლის ამოქმედების შედეგადაც 1973 წლის დამლევისათვის სადგურის სიმძლავრე 800 ათას კილოვატს მიაღწევს.

წელს სომხეთის ელექტრო და თბოსადგურები გამოიმუშავებენ რვა მილიარდ კილოვატსაათ ელექტროენერგიას.

არარატის ხეობაში მიმდინარეობს სომხეთის აბრეშუმი ელექტროსადგურის მშენებლობა. შენდება ვოროტანის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის შამბის სადგური.

პირველი პროდუქცია გამოუშვა სომხეთის უდიდესი ჩარენცავანის ინსტრუმენტული ქარხნის ფილიალმა, რომელიც სევანის ნაპირას სოფელ ერანოსშია შექმნილი. საწარმო ამწადებს 13 სახეობის პროდუქციას ჩარხმშენებლობისა და მანქანათმშენებლობისათვის. ხუთწლედის დამლევისათვის სასაქონლო პროდუქციის მოცულობის 5 მილიონ მანეთს მიაღწევს.

ამ ბოლო დროს გაფართოვდა რესპუბლიკის მრეწველობის ეგოგრაფია. შორეულ და მჭიდროდ დასახლებულ სოფლებში ეწყობა დამოუკიდებელი საწარმოები, ქარხნებისა და ფაბრიკების ფილიალები. ახლა სოფლის რაიონებში მოქმედებს ხელსაწყოთსაშენებელი და მანქანათსაშენებელი საწარმოთა 30 შვილეული საწარმო.

სპეციალიზაციამ ფირმამ „სომხელექტროკარსანამ“ აითვისა ახალი სახეობის ტრანსფორმატორის სერიული გამოშვება. კონსტრუქციის შეცვლის გზით 2-3 პროცენტით გაიზარდა მარგი მოქმედების კოეფიციენტი, შემცირდა მანქანის გაბარიტები, რამაც დიდძალი ძვირფასი ელექტროტექნიკური ფოლადი და სხვა ლითონები დაზოგა. ასეთი ტრანსფორმატორის გამოყენება თითქმის 1,5-ჯერ შეამცირებს ექსპლოატაციის დროს ელექტროენერგიის დანაკარგს.

„სომხელექტრომანქანამ“ სსრ კავშირში მეორე ადგილი უკავია ელექტრომანქანების წარმოებით. იგი პირველობას უთმობს მხოლოდ ლენინგრადის გაერთიანებას „ელექტროსილას“.

სომხეთის სსრ კულტურის სამინისტრომ და რესპუბლიკურმა თეატრალურმა საზოგადოებამ სსრ კავშირის 1973 წლის სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად დასახელა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის რაჩია ყაფლანიანის კანდიდატურა 1971-1972 წლებში სპექტაკლების „შვიდი სადგურის“, „სიყვარულისა და სიცილის“, „რიჩარდ მესამის“ რეჟისორისათვის. ეს სპექტაკლები დადგა ერევნის დრამატულმა თეატრმა.

30 წელზე მეტი მოსხმარა ცვლას რაჩია ყაფლანიანმა. პირველი შემოქმედებითი ნაბიჯი მან გადადგა ლენინაკანში, სადაც სწავლობდა ისევ თვალსაჩინო მოღვაწეებთან, როგორიცაა ლევონ კალანტარი და ვარდან აჯემიანი.

მისი ინიციატივით შექმნილი თეატრალური სტუდია ხუთი წლის წინათ გადაკეთდა ერევნის დრამატულ თეატრად. აქ ყაფლანიანმა დადგა სპექტაკლები „ანუმი“, „შეზითვი“, „ღვთაებრივი კომედია“, „ანა ფრანკის დღიური“ და სხვები, რომლებიც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო რესპუბლიკის თეატრალურ ცხოვრებაში.

მოსკოვის ლენინური კომკავშირის სახელობის თეატრში წარმატებით იდგმებოდა სომეხ ავტორთა პიესები „ღამის საოცრება“ და „შენი სულის ცვლილი“.

მოსკოვის მცირე თეატრის ცვლაზე დაიდგა სპექტაკლი „აღიარება“, რომელმაც პირველი პრემია მიიღო ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სხვა პიესებს შორის.

ყაფლანიანის სახელთან დაკავშირებულია ინტერნაციონალ უ რ ი თეატრის „მეგობრობის“ შექმნა, რამაც სომეხ მაყურებლებს საშუალება მისცა გახვნობოდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, თბილისის, ბაქოს წამყვან თეატრებს.

დიდი ბიოლოგიური აქტივობის აზოტშემცველი შენაერთები — ახალი ამონები მიიღეს ერევნელმა მეცნიერებმა. ეს სიახლენი მიღებულია ერევნის ბიოგენეტიკის ინსტიტუტის ლაბორატორიებში.

სომხეთის უმაღლესი სასწავლებლების სპეციალისტები დიდ კვლევითს მუშაობას ეწევიან სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის. უკანასკნელ წლებში მათ შექმნეს 100-ზე მეტი ნამუშევარი, რომლებსაც იყენებენ ქიმიურ წარმოებაში, რადიოტექნიკაში, ელექტრონიკაში, ხელსაწყოთმშენებლობაში, ენერგეტიკაში, მეტალურგიასა და სოფლის მეურნეობაში.

დიდი საბჭოთა პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის ოთხმოცი წლისთავს ეძღვნება მისი ნაწარმოებების საიუბილეო ორტომეული, რომელიც სომხურ ენაზე გამოიცა.

პოეტი-ტრიბუნის ლექსები და პოემები სომხეთში ოცჯერ და მეტად გამოსულა. საინტერესოა, რომ პირველად მაიაკოვსკი სომხურ ენაზე „ალაპარაკდა“ პატარებთან, როდესაც 1933 წელს გამოვიდა წიგნი „ვინ მინდა ვიყო?“.

ყველაზე მეტჯერ — რვაჯერ, გამოქვეყნდა პოემები „ლენინი“, „ქარგი“.

ერევანში, ათამდე საღარაჯო და სახარატო ოპერაციის შესრულება შეიძლება ახალი მოდელის ფართოუნივერსალურ საინსტრუმენტო სალარაჯ ჩარხებზე, რომელთა პირველი პარტია გამოუშვა ერევნის სალარაჯო ჩარხების ქარხანამ. თავისი სიმძლავრით ახალი მოდელის ჩარხი ორჯერ სჯობნის თავის წინამორბედს. სურათზე ზემოთ — ქარხნის საკონსტრუქტორო განყოფილების თანამშრომლები (მარცხნიდან) ლ. გალუსტოვი, კ. ბინიატიანი, და უ. ვალიანი.

სურათზე: ქვემოთ — აზრდება და ლამაზდება სომხეთის დედაქალაქი, მწვანე სამოსელი ფარავს მის ქუჩებს. მწვანეშია ჩაფლული სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის შენობა.



კიროვაკანის მარკით

კიროვაკანის ქარხანა „ავტომატიკამ“ აითვისა თვითჩამწერი ელექტრონული მოწყობილობის სერიული გამოშვება, რომელიც ძალიან სიზუსტით აღრიცხავს ქმიიურ წარმოებაში ტექნოლოგიური გარემოს გახურების სიძლიერეს.

ქარხანა „ავტომატიკის“ პროდუქცია ეგზავნება სსრ კავშირის ასობით შემკვეთს, მათ შორის უდიდეს ქიმიურ, მანქანათსაშენებელ და ენერგეტიკულ კომბინატებს.

საკონტროლო-გამოსათვლელ მოწყობილობას აღიულობენ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნები, აგრეთვე სირია, ერაყი, იორდანია, ლიბანი და თურქეთი. (არმენპრესი).

მკა ქარქრაქტის ველზე

ერევანი. ჰ ივლისი. (საკდესის კორ.). დღეს პურეულის მკა დაიწყო სომხეთში. ყანებში კომბაინები პირველმა გამოიყვანეს არარატის ველის მექანიზატორებმა. მხვნელ-მთესველებმა კარგი მოსავალი მოიწიეს. მასლასის, ეჩმიაძინისა და ოქტომბერიანის რაიონების მიწათმოქმედთ გადაწყვეტილი აქვთ ჰექტარზე აიღონ 34-40 ცენტნერი ხორბალი.

სომეხი მხვნელ-მთესველები მხურვალედ გამოეხმაურნენ უკრაინელ მექანიზატორთა მოწოდებას — პური აიღონ სწრაფად და უდანაკარგოდ.

კიდევ ერთი ზეახალი ვარსკვლავი

აღმოჩენილია კიდევ ერთი ზეახალი ვარსკვლავი. ბიურაკანის ასტროფიზიკური ობსერვატორიის თანამშრომელმა, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატმა რომელა შახბაზიანმა იგი ერთ-ერთი მორიგი გალაქტიკის შესწავლისას აღრიცხა.

მეცნიერები ზეახალს უწოდებენ ვარსკვლავებს, რომლებზეც მოულოდნელად ხდება უდიდესი აფეთქება. ამის შედეგად მათი სიკაშკაშე ერთ-ორ დღეში რამდენიმე მილიარდჯერ იზრდება. ასეთი ობიექტის პოვნა ადვილი როდია — ამისათვის უნდა „დაიჭირო“ დროის შუალედი, ვიდრე ვარსკვლავი არ ჩამქრალა.

დღემდე ასტრონომებისათვის ცნობილია მხოლოდ 300-მდე ზეახალი ვარსკვლავი, რომელთაგან ექვსი ბიურაკანის ობსერვატორიის თანამშრომლებმა აღმოაჩინეს. მეცნიერება ცდილობს მიიღოს რაც შეიძლება მეტი მასალა ამ საინტერესო ობიექტებზე.

თანამედროვე ადამიანი

სანტა-ისაბელი. ეკვატორული გვინეის დედაქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე დადგმულია ფოტოსურათების მუდმივი სტენდი. სტენდზე გამოფენილი სურათები გვინეის მკვიდრთ მოუთხრობენ საბჭოთა ხალხების ცხოვრების შესახებ, აცნობენ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს, ხელოვნებისა და სპორტის ამბებს.

სურათზე: საბჭოთა სტენდთან. საკდესის ფოტოკორესპ.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲑᲚᲝᲙᲜᲝᲢᲘᲓᲐᲜ

ᲖᲝᲘᲐᲡ ᲓᲔᲓᲐᲡᲗᲐᲜ

ᲛᲔᲒᲝᲠᲔᲑᲚᲘ ჩრდილოეთით მიჰქროდა... ფანჯრიდან გავცქეროდი კრასნოდარის მხარის, როსტოვის, ხარკოვის, კურსკის, ორიოლის, ტულის, მოსკოვის ოლქების თვალუწვდენელ ბაღლიან მინდვრებს და მახსენდებოდა ომის მრისხანე დღეები, ჩვენს მშვიდობიან ქვეყანას სისხლიანი ფაშიზმი რომ შემოესია. თვალწინ წარმომიდგნენ ფერფლად ქცეული და აოხრებული სოფლები, სტანიცები, ქალაქები: აწიოკებული უდანაშაულო ოჯახები — მშიერ-მწყურვალი უმწეო ბავშვები, ქალები და მოხუცები...

მართლაც, როგორ შეიძლება დაივიწყოს ადამიანმა ომის ბობოქარი და მღელვარე წლები — წითელი არმიის დროებითი წარუმატებლობა, თანდათან ძალების მობილიზება, მტრის შეჩერება, მარწუხებში მოქცევა, ინიციატივის ხელში ჩაგდება, სტრატეგიული და ტაქტიკური სწორი განმარტება, ყველა ფრონტზე მასობრივ მეტმეტაფთა ორგანიზება, ნანატრი გამარჯვება, და ცხრა მაისის საყოველთაო-სახალხო ზეიმი...

დიახ, სამამულო ომში ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვების დღე — 9 მაისი ჩვენში ტრადიციად დამკვიდრდა. ამ დღესასწაულზე ამაყად ვასახელებთ და ვაღიდებთ თანაფრონტელებს, მეგობრებს, ახლობლებს, ნათესავებს, რომლებიც უშუალოდ იბრძოდნენ სიცოცხლის წყურვილით და აკი ასეულათასობით ვაჟკაცი შეეწირა კიდეც დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლას — ისინი ხომ ოცნებობდნენ ვალმოხდილნი, მკერდდამშვენებულნი დაბრუნებულიყვნენ შინ, თავისიანებთან...

ძნელია უშუალო მონაწილე იყო დიდი სამამულო ომისა და მოწიწებით არ იგონებდე, სათანადოდ არ აფასებდე საბჭოთა ჯარისკაცს, ოფიცერს, გენერალს, მამაცთა და გმირთა უკვდავ სახელებს, ვინც საკუთარი სიცოცხლის ფასად კაცობრიობა იხსნა ფაშისტთაგან მუდმივი დამონების საფრთხისაგან, გამარჯვება და მშვიდობა დაგვიტოვეს...

— შენ დაწვი ჩვენი საცხოვრებელი ბინები და თავლა?

— დიახ, მე დავწვი!

— ვის დავალებას ასრულებდი, სად არიან პარტიზანები, სად არის შტაბი?

— არაფერი არ ვიცი!..

— დაფიქრდი, იცოდე ჯიუტობისათვის წამება, სიკვდილი, ჩამოხრჩობა მოგელის!

— თქვენი ნებაა, შეღავათს არა გთხოვთ, რაც არ ვიცი, არ ვიცი, იცოდეთ, რომ ჩემგან მეტს ვერაფერს შეიტყობთ!

— მე შენ აგალაპარაკებ, არამზადავ! როზეები, ბანფები, მარწუხები, მოამზადეთ სახრჩობელა! — თავგამეტებით ყვიროდა გაცოფებული და გაფითრებული სს-ელი ოფიცერი და მთელი ძალით მუშტს ურტყამდა მაგიდას.

— მე ახლა თქვენ ჩამომახრჩობთ, მაგრამ მარტო როდი ვარ — ჩვენ ორასი მილიონი გახლავართ, ისინი გადაგიხდიან სამაგიეროს. სულ ერთია, ჩვენ გავიმარჯვებთ!...

ამაღელვებელი და შეუდრეკელი რწმენით ნათქვამი ეს სიტყვები ეუთოვნის დედამიწის ყველა კონტინენტის ქვეყნებისათვის საკმაოდ კარგად ცნობილ ჟალიშვილია — ქალაქ მოსკოვის ლენინგრადის რაიონის მრომის წითელი დროშის ორდენსანი 201-ე საშუალო სკოლის აღზრდილს — ზოია კოსმოდემიანსკაიას.

ზოიამ შეუცდომლად გამოუტანა განაჩენი არა მარტო თავის ჯალათს, არამედ ფაშისტ-დამპყრობლებს მთლიანად, მაშინ, როცა მისი სიცოცხლე ბეწვზე კიდა...

მკვლელებმა 1941 წლის 29 ნოემბერს ჩამოახრჩეს ზოია...

მგზნებარე კოსმოდემიანსკაიას მხეცურმა წამებამ მსოფლიო აღაშფოთა და შეაძრწუნა...

ზოია ერთ-ერთი უპირველესი პატრიოტი ქალიშვილია, რომელმაც ხმა აღიმაღლა, გამოიჩინა ნებისყოფა, შეუპოვრობა, ამხილა ბარბაროსები და ამით ცხადყო სამშობლოსა და ხალხისადმი ჩვენი ახალგაზრდობის ერთგულება, თავდადება და სიყვარული...

„ქუდები მოიხადეთ, ამხანაგებო! ზოია კოსმოდემიანსკაია ჩვენთან აღარ არის!..“ — წითელი არმიის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს ფოტოგაზეთმა მიმართა ყველას, ვინც იარაღით ხელში იბრძოდა, და შურისძიებისაკენ მოუწოდა...

შემდეგ ზოიას თავგანწირვის ასეთი მაგალითი დამახასიათებელი და მისაბაძი გახდა ფრონტზე მყოფი თვითეული ახალგაზრდისათვის... მისი ხსოვნა შემდგომშიც აღზრდის თაობებს თავისი ქვეყნისა და ხალხის ერთგულების სულისკვეთებით!

...ქალაქ მოსკოვში ჩასვლისთანავე გადავწყვიტე მენახა დიდი სამამულო ომის მონაწილის, ყველა დედის მაგიერი — ზოიას მშობელი, კომუნისტი და პედაგოგი — ლიუბოვ ტიმოთეს ასული. მან ხომ სახელოვანი, სანუკვარი ქალ-გაჟი აღზარდა — საბჭოთა კავშირის გმირები — ზოია და ალექსანდრე, ორივე მამაცური სიკვდილით რომ დაეცა ბრძოლის ველზე...

...თმაშეკერცხლილი, კეთილშობილი მოხუცი ქალი მომესალმა, გამიძღვა მეორე ოთახში, რომლის კედლებს ამშვენებს ზოიასა და მისი ძმის — ალექსანდრეს მრავალი სურათი და საინტერესო დოკუმენტები...

— თუ როგორ აწამეს ფაშისტებმა ზოია, ყველამ იცით. ალბათ ისიც იცით, რომ ჩემი ერთადერთი ვაჟი ალექსანდრე აღმოსავლეთ პრუსიაში, ქალაქ კენიგსბერგის მისადგომებთან გამართულ ბრძოლაში მომიკლეს ომის დამთავრებამდე ოცდაექვსი დღით ადრე, 1945 წლის 13 აპრილს, — თქვა და თვალებზე მომდგარი ცრემლები ძლივს შეიკავა, მზერა წამსვე შვილების პორტრეტებზე გადაატანა და განაგრძო, — მეუღლე ადრე გარდამეცვალა და უმამოდ ვზრდიდი შვილებს, მაგრამ რაც შემეძლო ვცდილობდი მათთვის ჩამენერგა სამშობლოს სიყვარული, შრომის პატივისცემა, სიძნელეების წინაშე შეუპოვრობა, მეგობრობა და ინტერნაციონალური ერთიანობის გრძნობა... ამაგი დამიფასდა. მათ მასახელეს. ასახელეს ოჯახი, სკოლა და, რაც მთავარია, სამშობლო, აღმზრდელი ხალხი!

მართალია, ძნელია მშობელს ორად ორი შვილი ჰყავდეს და ისინიც ფრონტზე დაეღუპოს, მაგრამ რას იზამ, გამარჯვება მსხვერპლს მოითხოვდა, ამისათვის მილიონობით ადამიანებმა დადეს თავი და მათ შორის ჩემი შვილებიც არიან. ზოიასა და ალექსანდრეს გმირულად დალუპვა მომისამძიმრა პირადად იოსებ სტალინმა, ხალხმა და ვანა ეს არ არის ჩემი ოჯახის, შვილების დაფასება, დიდება და უკვდავება?... ისინი, რომლებმაც ამ ქვეყნად ომის ღრუბელი გაფანტეს, ცა ააკაშკაშეს, სიკეთის ოსცეცხლის საქმეს შეეწირნენ— კაცობრიობა, მოშავალი თაობა მათს სახელებს არასოდეს არ დავიწყებენ!

ნაკლები მსხვერპლი რომ ეკისრა ქართველმა ხალხმა დიდ სამამულო ომში. მისმა რჩეულმა შვილებმა საგმირო საქმეებით გაითქვეს სახელი! მართალია, ბევრი მათგანი არ დაბრუნებულა ოჯახში, მაგრამ მარადიული ძეგლი დაიდგეს ხალხის გულში. განსაკუთრებით ვიხსენებ ხოლმე ჩემი ქალიშვილის მოსახელეს ზოია რუხადეს, ისიც ხომ ზოიასავით აწამეს ფაშისტებმა?..

დღეს მსოფლიო ხალხებს, დედებს სურთ მშვიდობა, თავისუფლად სუნთქვა, გამრავლება, გახარება, და ამ სასიცოცხლო საქმეს სათავეში უდგას საბჭოთა კავშირი, ხალხი, მთავრობა, პარტია და მისი გენერალური მდივანი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი. ხალხს სწამს, რომ ვერავითარი ძალა ვერ დააოკებს მშვიდობის მომხრეებს და იგი ხალხისავე გამარჯვებით დამთავრდება.

ვთხოვთ გაზეთ „კომუნისტს“ საშუალებით, გულითადი სალამი, სიყვარული და საუკეთესო სურვილები გადასცეთ ქართველ ხალხს, მის სახელოვან დედებს, რომლებმაც სამშობლოს ღირსეული შვილები აღუზარდეს, კვლავაც აღუზრდიან და მაღალი შრომითი საქმიანობით ახალ-ახალ წარმატებებს მოიპოვებენ!

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲞᲐᲞᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: ᲚᲘᲣᲑᲝᲕ ᲙᲝᲡᲛᲝᲓᲔᲛᲘᲐᲜᲡᲙᲐᲘᲐ.
Ჟ. ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ.

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲗ

ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚᲗᲐ ᲢᲐᲕᲘ

„ᲡᲐᲚᲮᲘᲜᲝᲡ“ „ᲣᲜᲘᲢᲐᲡ“ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲖᲔ

ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ ტრადიციულად ტარდება კომუნისტური გაზეთის „უნიტას“ ფესტივალი: წელს ეს ფესტივალი, რომელზეც მიიწვიეს რუსთაველ ვოკალურ-ქორეოგრაფიული ანსამბლი „სალხინო“, მიმღინარეობდა ქალაქ ვენეციაში.

გუშინ ჩვენი კორესპონდენტი ზ. მერკვილაძე იტალიაში ტელეფონით დაუკავშირდა ანსამბლის მხატვრულ ხელმძღვანელს, რესპუბლიკის კულტურის დამსახურებულ მუშაკს **რეგვა მორჩილაძეს** და სთხოვა ეამბარა წარმატებები ხვდათ ქართველ მომღერლებსა და მოცეკვავეებს იტალიაში.

— ფესტივალი 16 ივნისიდან 24 ივნისამდე მიმდინარეობდა. ჩვენს ანსამბლს ნამდვილად რომ დიდი წარმატებები ჰქონდა. სრული პროგრამით გამოვედით 24 ივნისს — ფესტივალის დახურვის დღეს. ჩვენს კონცერტზე დასასწრებლად რომიდან სპეციალურად ჩამოვიდა იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ენრიკო ბერლინგუერი.

კონცერტს, რომელიც ტარდებოდა ღია ეტერადაზე, 5 ათასი მაყურებელი დაესწრო. ენრიკო ბერლინგუერმა მოგვილოცა წარმატება და დიდი მადლობა გადაგვიხადა მალალი ხელოვნებისათვის.

ფესტივალის დახურვის შემდეგ ანსამბლი იტალიის სხვადასხვა ქალაქებში გაემგზავრა საგასტროლოდ.

26 ივნისს ანსამბლმა კონცერტი გამართა ტურინის სამეფო თეატრში. ეს თეატრი ერთ-ერთი უდიდესი, ულამაზესი და თანამედროვე სტილით აგებული თეატრია მთელ იტალიაში. 1935 წელს დაიწვა ეს თეატრი და მხოლოდ ორი თვეა, რაც აღადგინეს. ჩვენს კონცერტს ამ თეატრში 2.500 კაცი ესწრებოდა. მიუხედავად ამისა, რომ გვითხრეს, აქ მეტად გულცივი მაყურებელია, ჩვენ მეტად თბილად შეგვხვდნენ, ბევრი სიმღერა რამდენჯერმე გაგვმეორებინეს.

მეორე დღეს გაზეთებმა დაბეჭდეს რეცენზიები, რომლებშიც ალტაცებას გამოთქვამდნენ ქართველი მსახიობების მაღალი შემოქმედების გამო.

ამჟამად ანსამბლი „სალხინო“ განაგრძობს ტურნეს იტალიაში.

ᲛᲐᲗ ᲔᲚᲘᲐᲜ ᲡᲝᲤᲚᲐᲓ

ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐᲓ დამკვიდრდა: ისინა სასურველ სტუმრად ითვლებიან ყველგან. წლების განმავლობაში სხვადასხვა რაიონებში კონცერტებს მართავს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საესტრადო ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები შ. ლორთქიფანიძე და დ. ხელორდავა.

ყველგან სითბოთი ხვდებიან მათ. არც არის გასაკვირველი, შარშან მათ ასთორმეტი კონცერტი ჩაატარეს რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში და ხალხის მადლიერება დაიმსახურეს.

მათ ელიან სოფლის გამრჯე ადამიანები კეთილი, მასპინძლური, გულთბილი. მათს კონცერტებს მაყურებელი ესწრება არა მარტო სოფლის კლუბებში, არამედ მინდვრად — ბუნების გაშლილ სალამაზეში, მთაში — სვანური კოშკებს ახლოს, ენგურჰესის მძლავრ მშენებლობაზე, ყველგან, სადაც კი შრომობენ კეთილი ნებას ადამიანები. შრომის ხომ დაესენებაც უყვარს, და თბილისელი სტუმრებიც — საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ე. ჩაჩავა, მსახიობები მ. ყიფლტი, ტ. ტალაბაძე, რ. კუნერეულო — მაშინ იქნებიან მათი დროებითი „მასპინძლები“. ისინი მოუსმენენ ოსტატურად შერჩეულ მხიარულ ლუმორს, სეტჩიებს, სიმღერებს.

Ლ. ᲥᲘᲜᲫᲚᲐᲫᲔ.

ᲐᲕᲘᲜᲬᲘ

ᲓᲦᲔᲡ, 4 ივლისს, **ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ** მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ელჭექი ხახეთის ხანმოკლე წვიმა, ხუსტი ქარი, ტემპერატურა 28-30 გრადუსი სითბო.

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ზოგიერთ რაიონში იქნება ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 26-30, მთაში 16-20 გრადუსი სითბო.

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სამხრეთ რაიონებში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, ხუსტი ქარი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 26-30, მთაში — 18-22 გრადუსი სითბო.

ᲮᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ᲮᲘᲓᲘ ᲮᲝᲤᲔᲚ ᲩᲐᲘᲩᲣᲨᲑᲐᲜᲨᲘ (ᲐᲭᲐᲠᲐ) ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ „ᲛᲔᲤᲘᲡ-ᲬᲧᲐᲚᲗᲔᲑᲘ“.
Ხ. ᲐᲜᲯᲔᲚᲝᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲩᲘᲒᲣᲠᲜᲘᲫᲔ ᲓᲘᲓᲔᲠᲗᲐ ᲨᲠᲘᲠᲘᲡ

ᲑᲔᲚᲪᲘ (მოლდავეთი) მიმდინარეობს საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალი ქალთა შორის. დებულების თანახმად, 3 გამარჯვებული ფინალში გადის.

6 ტურის შემდეგ 4,5 ქულით პირველ-მეორე ადგილებს იყოფენ ოსტატობის კანდიდატები ჩიბურდანიძე (თბილისი) და ფოკინა (ბენხა). ჩიბურდანიძემ მოიგო 4 პარტია, ყაიმი გააკეთა საერთაშორისო ოსტატ ანდრეევასთან (ხარკოვი), რომელთანაც ვერ გამოიყენა მოსაგები პოზიცია და წააგო საერთაშორისო ოსტატ რანიჟუსთან (ტალინი).

რამდენიმე სტრიქონით

● **ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ.** გაიმართა მეოთხე ზონის მეორე ლიგის მატჩები, რომლებმაც ჩვენი რესპუბლიკის გუნდებს შემდეგი შედეგები მოუტანა: ბორის „ფილა“-ბათუმის „დინამო“ — 1:0; ხოხუმის „დინამო“-ბრიანსკის „დინამო“ — 2:0, ფოთის „კოლხეთი“-კალუგის „ლოკომოტივი“ — 0:0 (პენალტები — 6:5), ლანჩხუთის „გურია“-ტირასპოლის „ზვიზდა“ — 4:0.

● **ᲠᲔᲖᲘ.** საკავშირო პირველობის მესამე ტურში თბილისის „ლოკომოტივმა“ ანგარიშით 6:0 მოსკოვში დაამარცხა საავიაციო ინსტიტუტის გუნდი და გათამაშებაში პირველი ორი ქულა ჩაიწერა. ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის „ფილისა“ და თბილისის „დინამოს“ გუნდების შეხვედრის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც ჩემპიონებმა საჯარიმო დარტყმით გაიტანეს — 3:0.

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲗ

ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚᲗᲐ ᲢᲐᲕᲘ

„ᲡᲐᲚᲮᲘᲜᲝ“ „ᲣᲜᲘᲢᲐᲡ“ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲖᲔ

ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ ტრადიციულად ტარდება კომუნისტური გაზეთის „უნიტას“ ფესტივალი: წელს ეს ფესტივალი, რომელზეც მიიწვიეს რუსთაველ ვოკალურ-ქორეოგრაფიული ანსამბლი „სალხინო“, მიმღინარეობდა ქალაქ ვენეციაში.

გუშინ ჩვენი კორესპონდენტი ზ. მერკვილაძე იტალიაში ტელეფონით დაუკავშირდა ანსამბლის მხატვრულ ხელმძღვანელს, რესპუბლიკის კულტურის დამსახურებულ მუშაკს **რეგვა მორჩილაძეს** და სთხოვა ეამბარა წარმატებები ხვდათ ქართველ მომღერლებსა და მოცეკვავეებს იტალიაში.

— ფესტივალი 16 ივნისიდან 24 ივნისამდე მიმდინარეობდა. ჩვენს ანსამბლს ნამდვილად რომ დიდი წარმატებები ჰქონდა. სრული პროგრამით გამოვედით 24 ივნისს — ფესტივალის დახურვის დღეს. ჩვენს კონცერტზე დასასწრებლად რომიდან სპეციალურად ჩამოვიდა იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ენრიკო ბერლინგუერი.

კონცერტს, რომელიც ტარდებოდა ღია ეტერადაზე, 5 ათასი მაყურებელი დაესწრო. ენრიკო ბერლინგუერმა მოგვილოცა წარმატება და დიდი მადლობა გადაგვიხადა მაღალი ხელოვნებისათვის.

ფესტივალის დახურვის შემდეგ ანსამბლი იტალიის სხვადასხვა ქალაქებში გაემგზავრა საგასტროლოდ.

26 ივნისს ანსამბლმა კონცერტი გამართა ტურინის სამეფო თეატრში. ეს თეატრი ერთ-ერთი უდიდესი, ულამაზესი და თანამედროვე სტილით აგებული თეატრია მთელ იტალიაში. 1935 წელს დაიწვა ეს თეატრი და მხოლოდ ორი თვეა, რაც აღადგინეს. ჩვენს კონცერტს ამ თეატრში 2.500 კაცი ესწრებოდა. მიუხედავად ამისა, რომ გვითხრეს, აქ მეტად გულცივი მაყურებელია, ჩვენ მეტად თბილად შეგვხვდნენ, ბევრი სიმღერა რამდენჯერმე გაგვმეორებინეს.

მეორე დღეს გაზეთებმა დაბეჭდეს რეცენზიები, რომლებშიც ალტაცებას გამოთქვამდნენ ქართველი მსახიობების მაღალი შემოქმედების გამო.

ამჟამად ანსამბლი „სალხინო“ განაგრძობს ტურნეს იტალიაში.

ᲛᲐᲗ ᲔᲚᲘᲐᲜ ᲡᲝᲤᲚᲐᲓ

ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐᲓ დამკვიდრდა: ისინა სასურველ სტუმრად ითვლებიან ყველგან. წლების განმავლობაში სხვადასხვა რაიონებში კონცერტებს მართავს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საესტრადო ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები შ. ლორთქიფანიძე და დ. ხელორდავა.

ყველგან სითბოთი ხვდებიან მათ. არც არის გასაკვირველი, შარშან მათ ასთორმეტი კონცერტი ჩაატარეს რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში და ხალხის მადლიერება დაიმსახურეს.

მათ ელიან სოფლის გამრჯე ადამიანები კეთილი, მასპინძლური, გულთბილი. მათს კონცერტებს მაყურებელი ესწრება არა მარტო სოფლის კლუბებში, არამედ მინდვრად — ბუნების გაშლილ სალამაზეში, მთაში — სვანური კოშკებს ახლოს, ენგურჰესის მძლავრ მშენებლობაზე, ყველგან, სადაც კი შრომობენ კეთილი ნებას ადამიანები. შრომის ხომ დაესენებაც უყვარს, და თბილისელი სტუმრებიც — საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ე. ჩაჩავა, მსახიობები მ. ყიფლტი, ტ. ტალაბაძე, რ. კუნერეულო — მაშინ იქნებიან მათი დროებითი „მასპინძლები“. ისინი მოუსმენენ ოსტატურად შერჩეულ მხიარულ ლუმორს, სეტჩიებს, სიმღერებს.

Ლ. ᲥᲘᲜᲫᲚᲐᲫᲔ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

ᲡᲘᲣᲠᲠᲘᲖᲔᲑᲘ ...ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲗ

□ ᲓᲐᲠᲩᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲕᲐᲙᲐᲜᲡᲘᲐ □ ᲛᲘᲜ ᲑᲠᲐᲯᲜᲘᲚᲘᲡ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ, როცა მთავრდება მორიგი ახალგაზრდობა ჭადრაკში მსოფლიოს პირველობაზე, გვეჩვენება, რომ სწორედ იგი — ტურნირი თუ მატჩი — იყო ყველაზე ფიზიფვნელოვანი, ყველაზე დრამატული წინანდელთან შედარებით. მეგონა ბანალურობად არ ჩამითვლომ, მაგრამ მაინც გაკვალული გზით წავალ და ვიტყვი, რომ მეცხრე საზონათაშორისო ტურნირი ნამდვილად ისეთი დრამატული იყო, როგორიც იმვითომად ხდება. და მან გაცილებით მეტი სიურპრიზი მოგვიტანა (ვაი რომ სამწუხაროს), ვიდრე ამას „ნორმა ითვალისწინებდა“.

როგორც ცნობილია, გაიმარჯვეს 22 წლის ანატოლი კარპოვმა და ვეტერანმა მიხეილ კორჩნოიმ, რომლებმაც პირველი ადგილი გაიყვეს, და აგრეთვე მესამე ადგილზე გასულმა ამერიკელმა რუბერტ ბენრნმ.

პირველი ორის გამარჯვება სიურპრიზების რიცხვს არ მეკუთვნება. კარპოვზე უკვე კარგა ხანია ლაპარაკობენ როგორც ფიშერის ერთ-ერთ ყველაზე ამკარა მეტოქეზე. კარპოვი თამაშობდა ვასაოცრად მსუბუქად, დამაჯერებლად, ძალდაუტანებელად. იგი იმდენად დაბეგენილად ახდენს ნანევრებს, ისე შეუძნელევლად აიძულებს მოწინააღმდეგეს შეცდეს, რომ ზოგჯერ გიანსლდება კიდეც მიაგენო, სად, რა ადგილას მოახერხა მან მეტოქის დაჯახნა. ლენინგრადიდან მატარებელით რომ ვბრუნდებოდით, ერთ-ერთმა ჩვენმა უსუეცესმა ოსტატმა გ. ფრიდშტეინმა საუბარში აღიარა, რომ იგი უარს ამბობს კარპოვის პარტიების კომენტირებაზე, რადგან, უბრალოდ, არ ესმის ბევრი მისი ვალი!

კარპოვს ადრე აგრესიულობა აკლდა, ზოგჯერ კი ზედმეტად მშვიდობისმოყვარეული იყო. ამ ტურნირში მან 10 პარტია მოიგო 17-დან, თან არც ერთი არ წაუგია! საზონთაშორისოს წინ კარპოვმა პრესაში გაანაცხადა ამ შესარჩევ ციკლს მოსამზადებლად ვთვლი მეშდგომისთვისო. საზონთათშორისოს დასთავრების შემდეგ მე ვკითხე კარპოვს, ხომ არ შეუცვლია მას აზრი ამის თაობაზე. არა, — სერიოზულად მიპასუხა გროსმაისტერმა, — მე ახლაც ასევე ვფიქრობ. ჩემი აზრით ამ ციკლში ფიშერი მოუგებს ყველა მეტოქეს. ერთადერთი, ვიცავ შეეძლო მისთვის სერიოზული საფრთხე შეექმნა — ტალი და ალბო მხოლოდ და მხოლოდ მოკლე მატჩში. მაგრამ ახლა ტალი, სამწუხაროდ, საერთოდ ვერ მოხდა პრეტენდენტთა რიცხვში...

საზონთაშორისოს წინ, მართალია, კორჩნოის ერთ-ერთ ფავორიტად ასახელებდნენ, მაგრამ ამ გროსმაისტერის გამოსვლები შარშან და მიმდინარე წლის დასაწყისში — ლენინგრადის ჩემპიონატში და ნაკრები გუნდების მატჩ-ტურნირში დიდ საეჭვოებს არაფერს ამბობდა. კორჩნოიმ შემდეგ ამოხსნა, თუ რამ გამოიწვია მისი ჩავარდნა ლენინგრადის ჩემპიონატში, სადაც მან ისე ცუდად ითამაშა, როგორც არასოდეს უთამაშია თავის სიცოცხლეში. ექსპერიმენტის სახით, აგრეთვე თავისი „დაუძინებელი მტრის“ ციაინტოტის თავიდან მოსაშორებლად მან გადაწყვიტა ცალთა დაუძაბავად ეთამაშა. შედეგი კი კატასტროფიული გამოდგა და კორჩნოი მიხვდა, რომ თავის თავს ღალატობდა, ღალატობდა თავის მებრძოლ ბუნებას, შეურიგებელ ხასიათს, ხოლო ეს მას არც შეეძლო და არც უნდა ექნა.

მაგრამ კორჩნოიმ რამდენადმე მაინც „უღალატა“ თავის ჩვევებს. დაიწყო ფიზიკულტურული ვარჯიში, სირბილი, თავი დაანება თამბაქოს წეგას და ისე გადაჭრით განეწყო, ალბათ ქართულ სუფრაზეც კი ორი ჭიქა... ბორჯომის მეტს არაფერს



ᲠᲩᲔᲣᲚᲘᲗᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲨᲠᲘᲠᲘᲡ

ᲑᲔᲚᲪᲘ (მოლდავეთი) მიმდინარეობს საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალი ქალთა შორის. დებულების თანახმად, 3 გამარჯვებული ფინალში გადის.

6 ტურის შემდეგ 4,5 ქულით პირველ-მეორე ადგილებს იყოფენ ოსტატობის კანდიდატები ჩიბურდანიძე (თბილისი) და ფოკინა (ბენხა). ჩიბურდანიძემ მოიგო 4 პარტია, ყაიმი გააკეთა საერთაშორისო ოსტატ ანდრეევასთან (ხარკოვი), რომელთანაც ვერ გამოიყენა მოსაგები პოზიცია და წააგო საერთაშორისო ოსტატ რანიჟუსთან (ტალინი).

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘᲗ

● **ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ.** გაიმართა მეოთხე ზონის მეორე ლიგის მატჩები, რომლებმაც ჩვენი რესპუბლიკის გუნდებს შემდეგი შედეგები მოუტანა: ბორის „ფილა“-ბათუმის „დინამო“ — 1:0; ხოხუმის „დინამო“-ბრიანსკის „დინამო“ — 2:0, ფოთის „კოლხეთი“-კალუგის „ლოკომოტივი“ — 0:0 (პენალტები — 6:5), ლანჩხუთის „გურია“-ტირასპოლის „ზვიზდა“ — 4:0.

● **ᲠᲔᲖᲘ.** საკავშირო პირველობის მესამე ტურში თბილისის „ლოკომოტივმა“ ანგარიშით 6:0 მოსკოვში დაამარცხა საავიაციო ინსტიტუტის გუნდი და გათამაშებაში პირველი ორი ქულა ჩაიწერა. ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის „ფილისა“ და თბილისის „დინამოს“ გუნდების შეხვედრის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც ჩემპიონებმა საჯარიმო დარტყმით გაიტანეს — 3:0.



ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

ᲡᲘᲣᲠᲠᲘᲖᲔᲑᲘ ...ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲗ

□ ᲓᲐᲠᲩᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲕᲐᲙᲐᲜᲡᲘᲐ □ ᲛᲘᲜ ᲑᲠᲐᲯᲜᲘᲚᲘᲡ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ, როცა მთავრდება მორიგი ახალგაზრდობა ჭადრაკში მსოფლიოს პირველობაზე, გვეჩვენება, რომ სწორედ იგი — ტურნირი თუ მატჩი — იყო ყველაზე ფიზიფვნელოვანი, ყველაზე დრამატული წინანდელთან შედარებით. მეგონა ბანალურობად არ ჩამითვლომ, მაგრამ მაინც გაკვალული გზით წავალ და ვიტყვი, რომ მეცხრე საზონთაშორისო ტურნირი ნამდვილად ისეთი დრამატული იყო, როგორიც იმვითომად ხდება. და მან გაცილებით მეტი სიურპრიზი მოგვიტანა (ვაი რომ სამწუხაროს), ვიდრე ამას „ნორმა ითვალისწინებდა“.

როგორც ცნობილია, გაიმარჯვეს 22 წლის ანატოლი კარპოვმა და ვეტერანმა მიხეილ კორჩნოიმ, რომლებმაც პირველი ადგილი გაიყვეს, და აგრეთვე მესამე ადგილზე გასულმა ამერიკელმა რუბერტ ბენრნმ.

პირველი ორის გამარჯვება სიურპრიზების რიცხვს არ მეკუთვნება. კარპოვზე უკვე კარგა ხანია ლაპარაკობენ როგორც ფიშერის ერთ-ერთ ყველაზე ამკარა მეტოქეზე. კარპოვი თამაშობდა ვასაოცრად მსუბუქად, დამაჯერებლად, ძალდაუტანებელად. იგი იმდენად დაბეგენილად ახდენს ნანევრებს, ისე შეუძნელევლად აიძულებს მოწინააღმდეგეს შეცდეს, რომ ზოგჯერ გიანსლდება კიდეც მიაგენო, სად, რა ადგილას მოახერხა მან მეტოქის დაჯახნა. ლენინგრადიდან მატარებელით რომ ვბრუნდებოდით, ერთ-ერთმა ჩვენმა უსუეცესმა ოსტატმა გ. ფრიდშტეინმა საუბარში აღიარა, რომ იგი უარს ამბობს კარპოვის პარტიების კომენტირებაზე, რადგან, უბრალოდ, არ ესმის ბევრი მისი ვალი!

კარპოვს ადრე აგრესიულობა აკლდა, ზოგჯერ კი ზედმეტად მშვიდობისმოყვარეული იყო. ამ ტურნირში მან 10 პარტია მოიგო 17-დან, თან არც ერთი არ წაუგია! საზონთაშორისოს წინ კარპოვმა პრესაში გაანაცხადა ამ შესარჩევ ციკლს მოსამზადებლად ვთვლი მეშდგომისთვისო. საზონთაშორისოს დასთავრების შემდეგ მე ვკითხე კარპოვს, ხომ არ შეუცვლია მას აზრი ამის თაობაზე. არა, — სერიოზულად მიპასუხა გროსმაისტერმა, — მე ახლაც ასევე ვფიქრობ. ჩემი აზრით ამ ციკლში ფიშერი მოუგებს ყველა მეტოქეს. ერთადერთი, ვიცავ შეეძლო მისთვის სერიოზული საფრთხე შეექმნა — ტალი და ალბო მხოლოდ და მხოლოდ მოკლე მატჩში. მაგრამ ახლა ტალი, სამწუხაროდ, საერთოდ ვერ მოხდა პრეტენდენტთა რიცხვში...

საზონთაშორისოს წინ, მართალია, კორჩნოის ერთ-ერთ ფავორიტად ასახელებდნენ, მაგრამ ამ გროსმაისტერის გამოსვლები შარშან და მიმდინარე წლის დასაწყისში — ლენინგრადის ჩემპიონატში და ნაკრები გუნდების მატჩ-ტურნირში დიდ საეჭვოებს არაფერს ამბობდა. კორჩნოიმ შემდეგ ამოხსნა, თუ რამ გამოიწვია